47

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

1929 სახელგამი № 22

მოჩვენებითი სიწყნარე

ხანდახან მეტის-მეტად ტყუვდება ადამიანი, მეტის-მეტად დიდ გულუბრყვილობას იჩენს, სიწყნარე და სიმშვიდე ეჩვენება იქ, სადაც საშინელი აურზაურია და შეხლა-შემოხლა. როდესაც ის ზღვის პირას ზის, გაცსქერის ცის ტატნობს და მის ფეხთან ოდნავ ლიკლიკობს თეთრქაფა ჭავლი, მის თვალს ატყვევებს ლურჯი უსაზღვრო სივრცე და ზღვა ჭგონია მშვიდი, მშვიდი. მაგრამ ამ დროს მის სიღრმეში ცხოვრება დუღს, დამფრთხალი პატარა თევზები გულგახეთქილი გარბი-გამორბიან ონავარი წევრის*) გამოჩენის გამო, ათასგვარი ცხოველი კი სხვადასხვა ხერხით უდარაჯებს თავის მსხვერპლს, მაგრამ ხშირად თვითონაც სხვისი ლუკმა ხდებიან. ზღვის ზედაპირი კი ისე მშვიდია, ისე მშვიდი, თითქოს ზღვას სძინავს, თითქოს დაღლილა დიდი ღელვით, ვაი-ვაგლახით.

აჰა დიადი, მედიდური მთა. მძლავრად ატყორცნილა იგი ცისკენ, თითქოს სურს გააპოს მისი გული და ამაყად გადმოხედოს დედამიწასო. რა წყნარია, რა მომხიბლავი, როგორ შვენის თეთრი გვირგვინი!

მაგრამ წყნარია? მშვიდია იგი? თვალს ასე სჯერა, ჭკუამ კი იცის, რომ მის ქვეშ დიდი დუღილია, არევ-დარევა, ორთქლი ტრიალებს, წიაღვარი დუღს გამალებით და ელის დროჟამს, რომ ამოხეთქოს, თავზარი დასცეს ადამიანს, გაანადგუროს ირგვლივ ყოველი და მერე ისე ძილს მიეცეს მთა მედიდური, პირველ შეხედვით ესდენ წყნარი, ესოდენ მშვიდი...

* * *

25 ნოემბერია. მეგაზეთეები გაჰკივიან, გაზეთს ჰყიდიან. „ბაქოს მახლობლად ვულკანმა ამოხეთქა“ —გაისმის ხმა, და ხალხი ესევა ჯერ კიდევ გაუმშრალ გაზეთის ფურცლებს.

„ვულკანი აფრქვევს ცეცხლოვან წიაღვარს. ცეცხლის სვეტი 100 მეტრზე მეტია.

ბაქო. 24 ნოემბერი. 24 ნოემბერს, დაახლოვებით დილის 11 საათზე, ბაქოს ოლქის სოფელ მარაზის რაიონში მიწისქვეშა გუგუნი გაისმა. ამასთანავე ერთ-ერთ მახლობელ მთაზე საშინელმა ვულკანმა ამოხეთქა.

ვულკანმა დაიწყო წიაღვრის ამოფრქვევა, რომელსაც მალე ცეცხლი წაეკიდა.

ამჟამად ვულკანს კვლავ ცეცხლი უკიდია, ცეცხლის სვეტი 100 მეტრზე მეტია. ჯერჯერობით გამორკვეულია, რომ ამოფრქვევა ხდება ბაქოდან 90 კილომეტრის დაშორებით.

ვულკანის შესასწავლად და გასაცნობად ამოფრქვევის ადგილას გაემგზავრა სპეციალური კომისია...“

ბაქოს ვულკანმა გამოიწვია მოგონებანი.

იყო დრო, როდესაც დღევანდელი სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის მშვენება—არარატი, დღეს რომ მშვიდად დგას მედიდური, წარბშეუხრელი, $5^1/_2$ კილომეტრის სიმაღლეზე აუტყორცნია თვისი მწვერვალი და თვალწარმტაცად ბრწყინავს შეეერცხლილი თავით, გვერდით კი ახლავს უმცროსი ძმა, პატარა არარატი, რომელსაც მხოლოდ 4 კილომეტრის სიმაღლეზე გაუპია ცის გული, — შფოთავდა, ბორგავდა, წიაღვარს აფრქვევდა, ზანზარებდა და ირყეოდა, ვით ციებ-ცხელებიანი.

არარატს ჰყავს ამხანაგი, წინათ რომ შფოთავდა, დღეს კი მშვიდია და უწყინარი.ეს არის ალაგეზი, რომლის სიმაღლე 4 კილომეტრზე მეტია. როდესაც რკინის გზით მოდიხართ ლენინაკანიდან ერევანში, ორივე მოჩანს, ალაგეზიც და არარატიც, ერთი მარცხნივ და მეორე მარჯვნივ.

სომხის ერთ-ერთი მემატიანე, წმ. ეფრემი, მოგვითხრობს, რომ მრავალი წლის წინათ, 341 წელს, სომხეთის ყველა მთა შეარყია საშინელმა მიწისძვრამ, რამაც ბევრი ხალხი იმსხვერპლა, მთებიდან გამოჩნდა „კვამლი“ და „ცეცხლი“. მაშინ არარატი და ალაგეზი აფრქვევდენ ნაცარს, ისროდენ ვულკანურ ყუმბარებს, წყლის ორთქლს, გაზებს და წიაღვარს, რომელიც ალაგეზიდან ფართო ნაკადად წამოვიდა მდინარე არეზისაკენ.

არარატი უკანასკნელად 1840 წლის 20 ივნისს შეშფოთდა. ასაღამურდა. მზე ჩასასვლელად გაემზადა, როდესაც სოფლელებმა საშინელი აფეთქების ხმა გაიგონეს. სოფელ აკურის მახლობლად მიწა გასკდა და იქიდან ამოხეთქა ორთქლმა და გაზებმა, მიწამ და ქვებმა. ორი საათის განმავლობაში ინძრეოდა მიწა. ჰაერში მტვრის ღრუბლები იდგა. ციდან ქვის წვიმა მოდიოდა. მაგრამ, აი, ყველაფერი გათავდა, ორთქლი გაიფანტა. სოფელი აკური ნანგრევებად ქცეულიყო. მთლად განადგურებულიყო ყველაფერი. მოსახლეობა დაღუპულიყო. მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცი გადარჩა.

თვალწარმტაცია მედიდური, მშვიდი, წყნარი მთა, მაგრამ გონება ვერ ენდობა იმის სიმშვიდეს, რადგანაც იცის მან შემთხვევა ძალიან ბევრი, როს ეს სიწყნარე ჭექა-გრგვინვად გადაქცეულა, გადაუბუგავს ცხელ წიაღვარს მინდორ-ველები და უმსხვერპლნია ათასობით ადამიანი.

მეტად უნდოა გაყინული, მშვიდი დიდი მთა, პირველ შეხედვით ესდენ წყნარი, ესოდენ მშვიდი...

შ. თ—ლი.

*) წევრი მეტის-მეტად გაუმაძღარი ონავარი თევზია.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

		გვ.
1.	სრ. საქ. პიონერ-მუშაკთა მე-5 თათბირისათვის — **მ. კოლიუბი**	1.
2.	შორეულ აღმოსავლეთში — **ვ. ლ.**	2.
3.	პირველი დღე — **ს. ეული**	3.
4.	სიკვდილი ან გამარჯვება — **ვ. ლენინი**	5.
5.	ახალი ქარხნები — **ა. ჩაჩიბაია**	6.
6.	ორი ლტოლვილი — **ე. პოლუმორდვინოვი**	10.
7.	აგიტკოლონა სოფლად—ლექსი — **ალ. ადამია**	11.
8.	5-წლიანი გეგმა — თარგ. **ვ. ჩაჩიბაია**	12.
9.	კრებიდან — ლექსი — **გ. კაჭახიძე**	13.
10.	ქიმიის საოცრებანი — **ჰ. ლოპატინი**	15.
12.	მოჩვენებითი სიწყნარე — **შ. თ—ლი**—გარეკანის მე-2 გვერდზე	
13.	ჯემს კუკის ცხოვრება და თავგადასავალი — **ნ. ლორთქიფანიძე**—გარეკანის მე-3 და მე-4 გვერდზე	
14.	ფოტოები — ამხ. ამხ. **ვისოცკისა, ლისიცინის და ესებუასი.**	

329.153 (05)
3-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

პიონერი

30 ნოემბერი
№ 22
წელიწადი მეოთხე
1929

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიუროების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ყურნალი ბავშებისათვის

მარიამ ორახელაშვილის, აკ. მახათაძის, ვ. ლუარსამიძის, ალ. მაშაშვილის და გ. აბესაძის რედაქციით

სრულიად საქართველოს პიონერ-მუშაკთა მე-5 თათბირისათვის

მიმდინარე წლის 27 ნოემბერს გაიხსნა პიონერ-მუშაკთა რესპუბლიკანური თათბირი, სადაც თავს იყრის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის მთელი ხელმძღვანელი აქტივი, ნორჩ პიონერთა სამაზრო და საოლქო ბიუროების თავმჯდომარენი. გარდა ამისა, გადამწყვეტი ხმის უფლებით თათბირზე მოწვეული არიან ტფილისის პიონერთა წინამძღოლები 15 კაცის რაოდენობით და 15 აქტიური პიონერი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ პარტიის, კომკავშირის და საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

თათბირი განიხილავს 3 საკითხს: წინამძღოლთა კოლექტივის შემოწმების ჩატარება და 200 კომკავშირელის პიონერ სამუშაოზე გაწვევა. „ბავშთა მეგობრის“ საზოგადოების რეორგანიზაცია. მოხსენებები ადგილებიდან: 1) სასაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის შედეგები. 2) ბანაკად ყოფნის დროს მუშაობის შესახებ. 3) მონაწილეობის მიღება მოსავლიანობისათვის ლაშქრობაში და სხვა.

ამ საკითხების განხილვით თათბირი ჯამს გაუკეთებს პიონერ-ორგანიზაციის პრაქტიკულ მუშაობას და, რაც მთავარია, გაითვალისწინებს მთლიანი სისტემის მიხედვით მუშაობის წარმართვას და საქართველოში უახლოეს წელს ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის რიგების გაორკეცების შემდგომ გზებს.

ამ საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტა უწინარეს ყოვლისა სვამს წინამძღოლთა შემადგენლობის საკითხს. წინამძღოლთა სოციალური შემადგენლობასა, მათ პოლიტიკურ სიმწიფესა და აქტიობაზეა დამოკიდებული ბავშთა კომუნისტური აღზრდის წარმატებით ჩატარება.

როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე ჩვენში, საქართველოში, წინამძღოლთა შემადგენლობა თავისი თვისებით სავსებით ვერ არის დამაკმაყოფილებელი, უმთავრესად, თავი სოციალური შემადგენლობის მიხედვით. ასე, მაგ., გლეხები წინამძღოლთა მთელი შემადგენლობის 50,2%, შეადგენენ, უპარტიოები კი 4%, რაც სრულიად მიუღებელ გარემოებას წარმოადგენს.

მაგრამ შემთხვევით იდეოლოგიურად უცხო ელემენტებთან ერთად ჩვენ გვყავს სავსებით მტკიცე და საქმისათვის თავდადებული წინამძღოლებიც. ამ უკანასკნელთა შემოწმების დროს საჭიროა წინამძღოლთა ამ ნაწილის გამოვლენა და გამაგრება მათი მუშაობისათვის საუკეთესო პირობების შექმნით. მაგრამ ეს როდია საკმარისი. საქართველოს ბავშთა კომუნისტურმა ორგანიზაციამ ერთი წლის განმავლობაში უნდა გააორკეცოს თავისი რიგები, — ასე აღნიშნა სრულიად საქართველოს მესამე კონფერენციამ. ამ მიზნისათვის კი წინამძღოლთა შემოწმების დროს ჩატარებულ იქნება 1200 საუკეთესო, უაქტიური ძველი კომკავშირელის პიონერ-მუშაობაზე გაწვევა. ყველა გაწვეულმა არა უგვიანეს ერთი თვისა უნდა გაიაროს წინამძღოლთა ორკვირეული (საღამოს) ან თვიური (დილის) კურსები.

მიმდინარე მომენტში პიონერ-ორგანიზაცია, როგორც არასდროს, საჭიროებს ყოველდღიურ სისტემატიურ დახმარებას მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობისა და, უწინარეს ყოვლისა, პარტიულ-კომკავშირულ ორგანიზაციათა მხრივ.

ჩასატარებელი შემოწმების დამთავრებისას თითოეულ პიონერ-კოლექტივთან უნდა ჩამოყალიბდეს მუშათა რაზმები პიონერ-მუშაობისათვის დახმარების გაწევის მიზნით. რაზმი უნდა შესდგებოდეს: მუშებისა, მოსამსახურეთა, მშრომელი გლეხობისა და სამეცნიერო ტექნიკური ძალებისგან. მთავარია ის, რომ ამ რაზმების ორგანიზატორები უნდა იყონ კომკავშირელები, მათი ინიციატივით შემუშავებულ უნდა იქნას კონკრეტული ღონისძიებანი კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესების, შრომით ჩვევათა მიღების, დასვენების ორგანიზაციის, ხუთწლიანი გეგმის შესწავლისა და ბავშთა სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობის მიზნით. მასთან ერთად საზოგადოების „ბავშთა მეგობარი“ მუშაობა ისე უნდა იქნას გადახალისებული, რომ მთელი მისი ძალა და საშვალებანი უწინარეს ყოვლისა ხელს უწყობდეს ბავშთა კომუნისტური აღზრდის საქმეს ბკო საშუალებით.

ამ მიზნით კომკავშირელები, სპეციალისტი ექიმები, მასწავლებლები, ტექნიკოსები და სხვანი, რომელთაც სურთ ამ საქმეში თავისი ცოდნით და გამოცდილებით დახმარება, უნდა გაერთიანდენ ამ საზოგადოების გარშემო და კონკრეტულად დაეხმარონ პიონერ-კოლექტივებს.

წინამძღოლთა შემოწმების დროს უნდა შესდგეს საინიციატივო და კომკავშირული ჯგუფები, აგრეთვე „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფები, რომელთა მიზანია პიონერ-კოლექტივების მუშაობის სხვადასხვა მდგომარეობის გამოაშკარავება

თვით პიონერები ცალკეულ შეცდომათა თვითკრიტიკის და კრიტიკის ყოველდღიური გაშლით ხელს უნდა უწყობდენ „ბკო“-ს გამაგრებას და შემოწმების წარმატებით ჩატარებას. ამყამად სავსებით მომწიფდა პიონერ-მუშაობის რესპუბლიკანური და, ზოგიერთ რაიონში, საოლქო კაბინეტების შექმნის საკითხი. გარდა ამისა, აუცილებელია განსახკომმა დაამუშაოს წინამძღოლთათვის პიონერ-პედაგოგიური განათლების მიცემის საკითხი.

ბკო-ს პრაქტიკის სხვა დანარჩენი საკითხები უწინარეს ყოვლისა ითხოვენ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყოველდღიურ დახმარებას მათი გადაწყვეტის საქმეში. მხოლოდ ამ პირობებში გადასწყვეტს წარმატებით საქართველოს ბკო თავის მორიგ ამოცანებს და შესძლებს როგორც თავისი რიგების გაორკეცებას, ისე ბოლშევიკ-ლენინელთა მესამე თაობის კომუნისტურად აღზრდის გაშლას.

მიხეილ კოლიუხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორეულ აღმოსავლეთში

რა ხდება ამ უზარმაზარი ქვეყნის, შორეული აღმოსავლეთის, საზღვარზე? როგორ აღმაშფოთებელ და არაჩვეულებრივ ცნობებს გვაწვდის ყოველდღე გაზეთი!

ასე იფიქრებდა ყოველი ადამიანი, რომელიც ციდან იქნებოდა ჩამოვარდნილი საბჭოთა კავშირში.

ჩვენ ჯარებს ყოველდღე თავს ესხმიან. ჩინურ ფორმაში გამოწყობილი გამხეცებული რუსი ოფიცრები ბანდებით ლახავენ ჩვენს საზღვრებს, ჩინეთის რეგულარული ჯარები ესვრიან ჩვენს მოწინავე საგუშაგოებს, ჩინეთის სამხედრო ჰაეროპლანები დაფრინავენ ჩვენს ტერიტორიაზე, ჩინეთის ტყვიებით დაჭრილი არიან წითელარმიელები, მოკლულია ტყვიამფრქვევთა კომანდირი.

რა არის ეს — ომი?

მაგრამ შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებულმა ძლიერმა არმიამ არ დაიკავა არცერთი ქალაქი. წითელმა ნაწილებმა არ დაანგრიეს არცერთი ჩინური სოფელი, საბჭოთა ზარბაზნებს არ დაუნგრევია რკინის გზა და წითელარმიელებმა არ დატოვეს თავისი საზღვრები, რომ შეჭრილიყვნენ მეზობელ ქვეყანაში.

ჩვენი პლანეტის — დედამიწის — სამხედრო ისტორიამ ჯერ არ იცის არცერთი შემთხვევა, რომ უძლიერეს არმიას არ დაეპყროს ის მხარე, რომელიც მას დაეცა.

საბჭოთა კავშირს არ უნდა ომი.

ჩინეთის გენერლებმა ყაჩაღურად დაიპყრეს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა. ეს გზა აშენებული იყო მეფის მთავრობის მიერ იმ ფულით, რომელსაც ის უწყალოდ ართმევდა რუსის მუშებსა და გლეხებს. ამ გზის საშუალებით მეფის რუსეთს სურდა ნელ-ნელა დაეპყრო ჩინეთის ნაწილი — მანჯურია. გზის დასაცავად ჩინეთში იყვნენ რუსი ჯარისკაცები, რომელთაც ყოველთვის შეეძლოთ დაეპყროთ მანჯურია.

საბჭოთა კავშირმა უარი განაცხადა შეეყვანა თავისი ჯარი ჩინეთში და წინადადება მისცა ჩინეთს გზა ორივე მხარის განკარგულებაში ყოფილიყო. 1924 წელს დაიდო ხელშეკრულება.

ახლა იმპერიალისტების მიერ გამხნევებულმა ჩინეთის მთავრობამ, რომელთაც სურთ საბჭოთა კავშირის ომში ჩათრევა, უხეშად ჩაიგდო ხელში რკინის გზა, გადაიყენა გზის საბჭოთა უფროსი (ორი უფროსი იყო — საბჭოთა და ჩინეთის).

საბჭოთა კავშირმა ამის გამო ომი არ ატეხა, მხოლოდ გადასწყვიტა ჩინეთთან ყოველი ურთიერთობის გაწყვეტა.

მაშინ ჩინეთის გენერლები მთლად გათავხედდენ, დაიწყეს საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრება და გაუსამართლებლად დახვრეტა.

დაიწყეს საზღვრებთან ჯარის მოგროვება, ხელახლად გაცოცხლდენ თეთრგვარდიელები, რომელნიც ჩინეთის ჯარში მსახურობენ; მათ დაიწყეს წითელ არმიაზე თავდასხმა.

მაგრამ წითელი არმია გამობრძმედილია და დამშვიდებული, ის მხოლოდ უკუაგდებს ჩვენი საზღვრებიდან დამცემ ხუნხუზებს.

ჩინეთში კი მდგომარეობა ყოველდღე უარესდება. აღმოსავლეთ ჩინეთის გზა ნიავდება, იმიტომ, რომ თეთრგვარდიელები ამ ხნის განმავლობაში არ მუშაობდენ, მხოლოდ ბოთლებს ეთამაშებოდენ ჩინეთის სამეკიტნოებში და მთვრალები თავს ესხმოდენ ჩვენს ნაწილებს. აღმოსავლეთ ჩინეთის გზას არაფერი მოაქვს, გარდა ზარალისა. ყაჩაღი გენერლები ჩხუბობენ ერთმანეთთან, ჩინეთის მთავრობა საგონებელშია. მაგრამ მას არ უნდა იგრძნოს თავისი დანაშაული: ოინბაზობს, აქვეყნებს ყალბ საბუთებს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ყველაფერში საბჭოთა კავშირია დამნაშავე.

წითელი არმია, დამშვიდებული და დაჯერებული თავის სიმართლეში, გმირულად იცავს ჩვენს საზღვრებს.

ჩვენი ჯარი არავის არ ეომება, მაგრამ სამაგალითოდ იცავს ოქტომბრის მონაპოვარს, ჩვენს წითელ საზღვრებს: ამ რამდენი დღის წინად ჩვენმა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს ჩინეთის ჯარები და რუსი თეთრგვარდიელები; განიარაღებულ იქნა 8 000-ზე მეტი ჩინელი ჯარისკაცი და სამასი ოფიცერი. მათ ჩამოერთვათ 10 000 თოფი, ზარბაზნების, სასროლი ნივთიერების და სხვა საომარი იარაღის საგრძნობი ნაწილი.

3 — ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი დღე

მთელი ღამე განუწყვეტლივ წვიმდა. ქარი ზუზუნით და კივილ-წივილით ეხეთქებოდა ქოხის კედლებს.

ქოხი ინჯღრეოდა და კედლები წიწკინებდენ. ქარისაგან აწეწილი ისლის სახურავიდან ქოხში ჩამოწვ-მდა და ჩვენს საწოლთან წვიმის წვეთები ეცემოდა. მესმოდა ქარის წივილ-კივილი, წვიმის შხუილი და საცოდავი ჩვენი მურიას შემზარავი წკმუტუნი.

მე დედასთან ვიწექი. შიშისაგან ვცახცახებდი, მეგონა ქოხის სახურავი ჩამოინგრეოდა და ჩვენ მის ნანგრევებში მოვყვებოდით. საბნის ქვეშ ვიმალებოდი.

— გენაცვალოს შენი ნენაი, ნუ გეშინია, შვილო, ღმერთი მოწყალეა, — მანუგეშებდა დედა, რომელიც ღმერთს შესთხოვდა:

— ღმერთო, უფალო, ნუ მოიძულებ შენს გაჩენილ ქვიყანას, ღმერთო, გვიხსენი უბედურებისაგან.

შიშისაგან კრინტს ვერ ვძრავდი... დედა კი ყურში ჩამჩურჩულებდა:

— დაიძინე, გენაცვალოს შენი ნენა! ხვალ იალონზე უნდა ავდგეთ. ამბობენ, შვილო, ადრე ამდგარსა ყურდღელსა წევარი ვერ მიეწიაო.

ამ სიტყვებზე მას ჩაეძინა, მე კი ვფიქრობდი ხვალინდელ დღეზე. ხვალინდელი დღე იყო ჩემი საოცნებო: ხვალ პირველად ვნახავდი სოფლის სკოლას, პირველად დავიწყებდი სწავლას.

2.

გამომეღვიძა, მამლები ყიოდენ. აღარ ისმოდა ქარის ზუზუნი და წვიმის შხუილი. მურია ყეფდა. დედა ამდგარიყო და ცეცხლი აენთო... მე არ ვიცოდი სად ვიყავი. თვალებში ხელი ამოვისვი.

დავრწმუნდი — ნახული სიზმარი იყო.

— ნენა, ნენა! — წამოვიძახე და ლოგინზე წამოვჯექი.

— რა იყო, შვილო? ადექი, გენაცვალოს შენა ნენაი, გათენდა, ხომ იცი, გრძელი გზა გვაქვს გასავლელი, — შესმოდა დედის სიტყვები, რომელიც ღადარაში კვერს აცხობდა.

საწოლიდან გადმოვხტი, ტანი ჩავიცვი და დედას გვერდით მოვუჯექი.

— ნენა, იცი, რა ვნახე წუხელის?

— რა ნახე, შვილო? სიზმარს ნახავდი, გენაცვალოს შენი ნენა!

— ჰო, ნენა, სიზმარი ვნახე, სიზმარი კაი იყო, მარა... — ენა მებმოდა...

— მიამბე, შვილო, მიამბე! ამბობდა დედა, რომელიც სახეზე მომჩერებოდა.

— ფართო ეზოში იდგა დიდი ოდა, — დავიწყე მე, — თეთრად შეღებილი და წითლად დახურული... ეზოში ბავშები ბურთს თამაშობდენ.

— აი, შვილო, ესაა კლასი, აქანაი უნდა ისწავლო... — მითხარი შენ.

ჩვენს დანახვაზე ბავშებმა თამაშს თავი დაანებეს და შემოგვეხვიენ. ჩვენი მეზობლის ბიჭებიც იქ იყვნენ. სიმონიკაის ბიჭმა, დამინახა თვარა, ქვაი მესროლა, რომელიც მარჯვენა ფეხზე მომხვდა. მე ავტირდი.

როცა ვტიროდი, გავიხედე და ჩვენსკენ მოდიოდა მაღალი ტანის კაცი.

„შვილო. აი, მასწავლებელიც მოდის, ნუ ტირი, გენაცვალე“ — მითხარი შენ. ჩვენთან მართლა მოვიდა ის კაცი, თავზე ხელი გადამისვა, მომეფერა და მითხრა:

— ნუ ტირი, ბავშო, აი შენ.

ხელში თეთრი ფარა მომცა.

— მოდი აქ! — დაუძახა მან გოგიას, რომელსაც მოჰკიდა ხელი ყურში, გაუჯავრდა და შუა ეზოში დააჩოქა.

მე მიხაროდა გოგიას დასჯა.

— შენი სახელი? — შემეკითხა ის.

— სანდრო, — ვუპასუხე.

— გინდა სკოლაში იარო?

— კი ბატონო, ძალიან მინდა.

მორცხვად ვუპასუხე და თავი დავღუნე.

— ყოჩაღ, შენ კაი ბიჭი ყოფილხარ, — მითხრა მან და თავზე ხელი გადამისვა. შემდეგ წაგვიყვანა თავის ოთახში, სადაც სუფრა იყო გაწყობილი.

— მიირთვით! — გვითხრა მან. შემდეგ ხელი მომკიდა და სუფრასთან დამსვა. შენც გვერდით მოიჯექი. ჩვენ ვჭამდით სხვადასხვა საჭმელს. მე მრცხვენოდა, მაგრამ მაინც ვჭამდი.

— ყოჩაღ, ბიჭო ყოჩაღ, კაი ბიჭი ყოფილხარ, სწავლა გდომებია, — იმეორებდა ის.

— შენ ჩვენთან დარჩები, ისწავლი, ბავშებში ითამაშებ, აი ასეთ საჭმელებს გაჭმევთ, ახალ ტანისამოსს შეგიკერავთ. დედაშენი კი შინ წავა და ხშირად გინახულებს, — ამბობდა მასწავლებელი.

„კი, ნენა, შენ აქ დარჩები, აბა შენ იცი, რავა ისწავლი“ — მითხარი და წასვლა დააპირე. მე პირიდან ლუკმა გადმომივარდა.

— ვაიმე, მიშველეთ, ნენაი მტოვებს!

დავიწყე ტირილი, და შენს კალთებს ჩამოვეკიდე... ამ დროს გამომეღვიძა კიდეც...

— ღმერთმა კეთილად აგისრულოს აი სიზმარი. ნეტაი ვიცოდე სიზმრის ახსნა. ცხონებულმა ბებიაშენმა ქე იცოდა, შვილო... ისე კაი სიზმარი ქე უნდა იყოს .. — ამბობდა დედა.

ამ დროს ქოხის ჭეჭრუტანებიდან დღის სინათლემ შემოანათა.

დედამ ღადარიდან კვერი გამოიღო, გარეცხა და ჯამზე დამიტეხა. შემდეგ ადგა და ქოხის კარი გაიღო. მურია ქოხში შემოვარდა და ჩემთან მოვარდა, მე მას კვერის ნატეხი გადავუგდე. ცოტა ხნის შემდეგ სკოლისაკენ მივდიოდით...

3.

არაჩვეულებრივი დილა იდგა. არც ქარი და არც წვიმა. დილის ნიავიც კი არ დაქროდა. ამომავალმა მზემ ჯერ მთის ქოჩორი დავარცხნა ოქროს-

ფრად, შემდეგ კი მზის სხივებში გახვია მიდამო. ღამით ნაბერტყი ხის ტოტები, დაჟლეტილი მცენარეები და დაჟეჟილი ყურძნის მტევნები მზის სხივებზე სიცოცხლის ნიშანს იბრუნებდენ. ღამით ნაწვიმარი შარა-გზა ისე იყო ატალახებული, რომ გავლა არ შეიძლებოდა. ჩვენ ფრთხილად გადავდიოდით სხვის ეზოებზე. სკოლამდე ორი სოფელი უნდა გაგვევლო. მეორე სოფლის საზღვარზე ჩამოდიოდა პატარა ღელე, რომელშიაც წყალი წვიმის დროს ჩადგებოდა ხოლმე, წინაღამით კი ისე ადიდებულიყო, რომ მასზე გადებული მოთხრილი ხეც კი წაეღო.

ოქტომბრის 12 წლის თავი

— ნენა, ახლა რა უნდა ვქნათ? — შევეკითხე დედას, რომელიც ფიქრობდა, თუ როგორ გავსულიყავით ადიდებულ წყალზე.

— მოიცა, შვილო, ხომ ხედავ, ვილაც მეურმე მოდის, ვთხოვოთ და გაგვიყვანს!

მართლაც, ამ დროს ურემიც მოგვიახლოვდა. მეურმე ხარებს შოლტის ტყლაშუნით მორეკავდა.

— დილა მშვიდობისა, ნინო, საით გასწიე ამ დილაადრიან?.. — მიესალმა დედაჩემს.

— მშვიდობა ნუ მოგაკლოს ღმერთმა. კლასში მივდივარ, ბატონო ივანე, აი ბალანაი უნდა მივაღებინო, — უპასუხა დედამ.

— კაი გიქნია, ძალიან კაი, უსწავლელობა ჩვენს დროში არ ვარგა. მოდით, დაჯექით ამ ურემზე, თვარა ამხელა წყალში ფეხით ვერ გახვალთ!

მეურმემ მომკიდა ხელი და ურემზე დამსვა, დედაც ამოვიდა და გვერდით მომიჯდა.

ღელეზე რომ გავედით, ჩვენ ურმიდან ჩამოსვლა დავაპირეთ. — არა, იყავით, იყავით, ურემს თქვენ არ დაამძიმებთ. გვითხრა მეურმემ. გზაში დედა და მეურმე განუწყვეტლივ ლაპარაკობდენ... დედა ლაპარაკობდა უფრო თავის გაჭირვებაზე, მეურმე — მოსავალზე. სკოლის ეზოს რომ მივუახლოვდით, დედამ მეურმეს მადლობა გადაუხადა და ურმიდან ჩამოვხტით. სკოლის ეზოში რომ ჩავედით, თვალწინ წარმომიდგა წინაღამით სიზმარში ნახული და ის, რასაც სინამდვილეში ვხედავდი. სკოლის ეზო სწორედ ისეთივე იყო, თეთრად შეღებილი და წითლად დახურული, როგორც სიზმარში ვნახე, წინათ ეს სკოლა ნახული მქონდა. ერთხელ დედას კანცელარიაზე მივყვებოდი. ჩვენ გავიარეთ სკოლის ეზოსთან. დედამ სკოლისაკენ გაიშვირა ხელი და მითხრა:

— შვილო, აქანაია კლასი, შენც აქანა ისწავლი.

სკოლის ეზოში ბავშების თამაშს ვერ ვხედავდი: ადრე იყო, და ბავშები სკოლაში არ მოსულიყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ ეზოში გაისმა ბავშების კისკისი, რომლებიც დარბოდენ, ჰიდაობდენ და ერთმანეთს ახტებოდენ.

მე ვიდექი დედასთან და არ ვიცოდი რა მომელოდა.

ვფიქრობდი: უნდა ვისწავლო, მაგრამ რა ვისწავლო? რა არის სწავლა?

წინათ გამეგონა „დედა-ენის“ შესახებ, მაგრამ არ ვიცოდი, რა იყო „დედა-ენა“. მახსოვს, ერთხელ მეზობლის ბიჭს შევესწარი, როცა წიგნს კითხულობდა. იჯდა ხის ძირას და მუხლზე წიგნი დაედო. მივუახლოვდი და თავზე წავადექი. ის ვერ მხედავდა...

— იიი, ააა, ააა, იიი, განუწყვეტლივ იმეორებდა. მე გაკვირვებით დავშტერებოდი მას. ვერ გავიგე, რას ამბობდა. მან თავი მაღლა ასწია და ბღვერით შემომხედა:

— ნუ მიშლი ხელს, შე გომბიო, ვერ ხედავ, წიგნს ვკითხულობ!..

შემეშინდა და უკან გავიქეცი (წინათ მან ორჯერ მცემა). შინ რომ მივედი, დედაჩემს ვკითხე:

— ნენა, მითხარი, რაია ი ი ი, ა ა ა, ა ა ა, ი ი ი მეთქი.

მან ამიხსნა და ნაცარში ჯოხით დამიხაზა „ა“. ეს, შვილო, „ანიაო“, „ბ“ — ეს „ბანიაო“, „გ“ — ეს „განიაო“ და „დ“ — ეს „დონიაო“...

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ დედამ ხელი მომკიდა და მითხრა:

„წავიდეთ, შვილო“.

ჩვენ შევედით სკოლის ერთ ოთახში, სადაც მაგიდას უსხდენ მასწავლებლები.

— შენი გვარი? — შემეკითხა ერთი მათგანი.

მე ვუპასუხე.

— თვლა იცი?

— ვიცი.

— აბა დაითვალე! — მითხრა მან.

მე ოცამდე დავითვალე.

კარგი, მიღებული ხარ, — სთქვა მოხუცმა მასწავლებელმა და წინმდებარე ფურცელზე რაღაც დაწერა (ალბათ ჩემი მიღების შესახებ)...

მე სიხარულისაგან გული ამითამაშდა.

დედას თვალები უბრწყინავდა.

— უნდა შეიძინოთ „დედა-ენა“, რვეული და კარანდაში!

სთქვა იმ მასწავლებელმა, რომელმაც სახელი და გვარი მკითხა.

— კი, ბატონო, კი, დღესვე შევიძენ! — თავის დაკვრით წარმოსთქვა დედამ და ოთახიდან გამოვედით.

— წავიდეთ, შვილო, „დედა-ენაი“ ვიყიდოთ,— მითხრა დედამ და ოთახიდან ეზოში გამოვედით. იქვე კანცელარიის ახლო დუქანში წიგნები და სასწავლო ნივთები იყიდებოდა.

— რა გნებავთ? — შეეკითხა დედას მედუქნე, როცა დუქანში შევედით.

— „დედა-ენაის“ წიგნი მინდა ამ ბალანეიზა, რა ღირს ნეტაი?— შეეკითხა დედა მას და ჭინჭში გამოსკვნილი ფულის გახსნას შეუდგა.

— სამი **აბაზი!**—იყო მედუქნის პასუხი.

დედა დიდხანს ითვლიდა ფულს. მედუქნემ გადმოიღო წიგნი და მომცა.

დედას ხელში ფული ეჭირა და მედუქნეს არ აძლევდა.

მე გამიკვირდა და დედას დავაცქერდი. მის სახეზე შეწუხება ამოვიკითხე. დედა მიუახლოვდა მედუქნეს და თხოვნით მიმართა:

— ღმერთი ცოლ-შვილს გიცოცხლებს, ხვალემდე სამი კაპეიკი უნდა მანდო. სამ აბაზს სამი კაპეიკი მაკლია.

— დედიჯან, ერთი კაპეიკიც არ შემიძლია. ხომ იცი, სამ კაპეიკს რომ სამი კაპეიკი დაადვა, ექვსი კაპეიკი იქნება...—ჩაილაპარაკა მედუქნემ და ფულის თვლას შეუდგა. ამ დროს დუქანში შემოვიდა ის მასწავლებელი, რომელმაც სახელი და გვარი მკითხა.

მან გაიგო რაში იყო საქმე, წამსვე ჯიბიდან ფული ამოიღო და მედუქნეს მისცა.

— ეს წიგნი შენთვის მიჩუქნია, ოღონდ ბეჯითად ისწავლე,—მითხრა მან.

ჩვენ არ ვიცოდით, როგორ გადაგვეხადა მისთვის მადლობა. დედამ სიხარულისაგან ხელზე კოცნა მოუნდომა. ჩვენ აღფრთოვანებით გამოვედით დუქნიდან. მე დედის წინ ხტომით მივრბოდი, „დედა-ენას“ ჰაერში ვატრიალებდი და ხმამაღლა ვყვიროდი:

— იიი, ააა, ააა, იიი.

შინ რომ დავბრუნდი, მზე ჩადიოდა. ეზოში მურია შემოგვეგება. მე არ ვგრძნობდი არც შიმშილს და არც დაღლილობას. მე ვიყავი უბედნიერესი ქვეყანაზე. ის დღე კი ჩემს მეხსიერებაში ამოუშლელია, სკოლაში შესვლის და სწავლის დაწყების პირველი დღე.

სანდრო ეული.

სიკვდილი ან გამარჯვება

ამხ. ლენინის სიტყვა, წარმოთქმული 1918 წ. 7 ნოემბერს, როდესაც გაიხსნა ოქტ. რევ. მებრძოლთა მემორალური დაფა. მორიგ ნომრებში ჩვენ მოვათავსებთ ამხ. ლენინის სიტყვებს და წერილებს სხვადასხვა საკითხზე.

„ამხანაგებო! ჩვენ ვხსნით 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მოწინავე მებრძოლთა ძეგლს.

მშრომელთა მასის საუკეთესო ადამიანებმა რევოლუციას შესწირეს თავი.

დაიწყეს აჯანყება იმპერიალიზმისაგან ხალხთა განთავისუფლებისათვის, ხალხთა შორის ომების მოსპობისათვის, კაპიტალის ბატონობის დამხობისათვის, სოციალიზმისათვის.

ამხანაგებო! რუსეთის ისტორია მთელი ათეული წლების განმავლობაში გვიჩვენებს თავდადებულ რევოლუციონერთა გრძელ მარტიროლოგს.

ათასობით იხოცებოდენ ცარიზმთან ბრძოლაში.

მათი დაღუპვა აფხიზლებდა ახალ მებრძოლთ, საბრძოლველად ამხედრებდა უფრო და უფრო ფართო მასებს.

წარსული წლის ოქტომბრის დღეებში დაღუპულ ამხანაგებს წილად ხვდათ გამარჯვების დიდი ბედნიერება.

ის უდიდესი პატივისცემა, რომლის შესახებაც ოცნებობდენ რევოლუციის ბელადები კაცობრიობისა, ამ გმირებმა დაიმსახურეს.

ეს პატივისცემა იმაში გამოიხატება, რომ ბრძოლაში სახელოვნად დაღუპულ გმირთა სხეულებზე გაიარეს ათასობით და მილიონობით ახალმა მებრძოლებმა, ამდენადვე უშიშრებმა, ამ გმირობით რომ უზრუნველჰყვეს მასების გამარჯვება.

ახლა ყველა ქვეყანაში დუღს, მოძრაობს მუშათა ამბოხება.

მთელ რიგ ქვეყნებში თავს იჩენს სოციალისტური რევოლუცია.

მთელი ქვეყნიერების კაპიტალისტები, თავზარდაცემულნი და გაცოფებულნი ეშურებიან შეერთდენ ამბოხების ჩასაქრობად და განსაკუთრებულ ღვარძლს იწვევს მათში სოციალისტური საბჭოთა რუსეთი. ჩვენს წინააღმდეგ მზადდება ყველა ქვეყნის შეერთებული იმპერიალისტების ლაშქრობა, ჩვენ თავზე გვატყდება ახალი სხვადასხვა ბრძოლა, ჩვენ გველის ახალი მსხვერპლის გაღება.

ამხანაგებო! პატივი ვცეთ ოქტომბრის მებრძოლთა ხსოვნას მით, რომ მათი ძეგლის წინაშე მივცეთ ჩვენს თავს ფიცი, რომ ჩვენ გავყვებით მათ კვალს, მივბაძავთ მათ უშიშრობას, მათ გმირობას.

დე, მათი ლოზუნგი გადაიქცეს ჩვენს ლოზუნგად, მთელი ქვეყნიერების აჯანყებულ მუშათა ლოზუნგად!

ეს ლოზუნგია: სიკვდილი ან გამარჯვება!

და ამ ლოზუნგით საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის მებრძოლნი უძლეველნი იქნებიან“.

ახალგაზრდა ლენინელთა მილიონები—საუკეთესო ძეგლია ილიჩისთვის!

ახალი ქარხნები

ფირუზის ლაჟვარდებში მზე უზარმაზარი ხანძარივით ანთია.

ქვით ნაგებ პატარა ნაცრისფერ შენობებთან ფრიალებენ ალისფერი დროშები და ზოგან კი თვით შენობებიც მორთულია ყვავილებით, ფერადი გირლიანდებით, ბელადების სურათებით და სხვადასხვა პორტრეტებით.

ალაგ-ალაგ ფანჯრებ შუა ვიწრო თოკებზე ხვავად ჰკიდია აშრიალებული ფერადი ქაღალდები.

მტვერში სიჩქარით გააქვთ ხმაური ავტოებს და გუგუნთან ერთად ქრებიან ქუჩების რუხ დაუსრულებლობაში. ავტოებში სხედან ტიტველმკლავებიანი, მზით გარუჯული წითელყელსახვევიანი პიონერები, და მხიარულ სახეებში მკაფიოდ მოსჩანს სხვადასხვაგვარი წითელი პლაკატები და კარიკატურები.

ქუჩებში მიდიან შავი ნიაღვარივით მასები. გუგუნებენ სასულე ორკესტრები და მათ უკან პირაკინებულნი, მწყობრი ნაბიჯებით მიდიან ისინი ოთხ მწკრივად და კიდევ მათ უკან მიჰყვება ავტოზე დადგმული რადიო და მთელი კარნავალი.

ირგვლივ ფრიალებენ ალისფერი დროშები. დროშებში შავი ნიაღვარივით მიდიან მასები, და დროშების ზემოთ ანთია მზე ცხოველმყოფელი, ბრჭყვიალა და ქარვისფერ ალხად გადაქცეული.

და კიდევ მზის ქარვისფერ სხივებით ანთებულ ფირუზის ლაჟვარდებში დაფრინავენ ჰაეროპლახები, და პროპელერების ხმაური იფანტება ირგვლივ ქარიშხლის ნაფლეთებად.

ჰაეროპლანი ხან ქორივით დაუქროლებს სახურავებს, ხან ავა მაღლა ისე, რომ მხოლოდ შავ წერტილად მოჩანს და უცებ ტრიალით ჩამოვა ძირს და მისი ფრთები ვერცხლის ფურცლებივით ელავენ გამობრუნებისას.

ნაცრისფერ კედლებთან ნელი დაბიჯით მიდიოდენ ბიძია არჩილი და იური.

იური შესცქეროდა ყოველივეს და გული სიხარულით ევსებოდა.

შესცქეროდა ჰაეროპლანს, სადაც მამამისი იჯდა ავიატორად. მას უხაროდა და ამავე დროს ეშინოდა, რომ არ ჩამოვარდნილიყო და ძვლებად არ ქცეულიყო, მაგრამ ის ხომ დიდი ხანია, რაც ცნობილია, როგორც საბჭოთა საუკეთესო მფრინავი...

მიდიოდენ ისინი. ქუჩებში მტვრის ნისლისფერ ღრუბლებში კვლავ გუგუნებდენ ავტოები და ელავდენ პლაკატები, კარიკატურები.

— ბიძია არჩილ! რომ დამპირდი, ამბავს მოგიყვებიო, მომიყვი, — უთხრა იურიმ არჩილს.

— ძალიან გინდა?

— კი!

— მაშ კარგი. ყური დამიგდე, ჩემო ბიჭუნი, — უთხრა ბიძია არჩილმა და უამბო ის, რაც, ჩემო კარგებო, ქვემოთ იქნება მოთხრობილი.

* * *

ეს იყო წინათ...

ეს ქალაქი მაშინ დენიკინელებს ეკავათ, სადგური სავსე იყო სამხედრო მატარებლებით, ხრჩოლავდენ ზანტად ჯავშანსნები და თვით სადგურზე იდგა ორი მძიმე ტყვიამფრქვევი.

რონოდებთან ეყარენ ჯარისკაცები და მზესუმზირას შეექცეოდენ.

ამ ქალაქიდან დენიკინელებს ფრონტისკენ გაჰქონდათ სურსათ-სანოვაგე, ტყვია-წამალი და იარაღი. ადგილობრივ მუშებს არავითარი გასაქანი არ ჰქონდათ. გაჩნდა ჯაშუშთა ხროვა და ყოველდღე იჭერდენ სრულიად უდანაშაულო პირებსაც კი. მათ შორის იყო ტანმორჩილი, შავწვერა, წელში ოდნავ მოღუნული კაცი, რომელსაც ზვინიკს ეძახდენ და რომელმაც თავისი ჯაშუშური მოპყრობით სახელი გაითქვა მხარაბრჭყვიალებულ ოფიცრებთან.

მას დაჭყავდა ჯარისკაცები და ქუჩებში იჭერდა, ვინც არ მოეწონებოდა ან, მისი აზრით, ვინც საეჭვო პიროვნებად იყო მიჩნეული.

ერთხელ ის დეპოს ეწვია. ნელა, ფრთხილი ნაბიჯებით მიდიოდა მანქანების ნამსხვრევების, ძელების, რკინის ნაჭრების, მავთულების, მაზუთით სავსე კასრების, დაჟანგული გადაბრუნებული ცისტერნების და სხვადასხვაგვარი ყუთების, ბორბლების, ორთქლმავლის მილების და ფიცრების გროვაში, აშავებულ ფერგადაკრულ კედლებთან და, აი, სრული ა დ [illegible] (მას შეეჩეხა ახალგაზრდა მუშა

ის მივიდა მასთან, ჩააკვირდა და მხლებლებს უთხრა:

— წამოიყვანეთ!

— რისთვის? — შეეკითხა ახალგაზრდა.

— რისთვის? რისთვის და მე ასე მინდა!

— არ მოვდივარ!

— ბევრს ნუ ლაპარაკობ! წამოიყვანეთ! — ხელმეორედ ბრძანა მან.

— არ მოვდივარ. შე ჯაშუშო, შე არამზადავ!

— რას ყრანტალებ, შე ლაწ... იტაცა ხელი რევოლვერზე ზვინიკმა, მაგრამ ახალგაზრდა წუთშივე მივარდა გააფთრებული და რევოლვერითურთ ქვებზე დაანარცხა.

ზვინიკს გონება დაებნა. თვალთ დაუბნელდა და შუბლთან ტკივილი იგრძნო. მხლებლები მიცვივდენ ახალგაზრდას და შებოჭეს, ზვინიკი კი ადგა ბარბაცით და მოიმარჯვა რევოლვერი.

— ახლაც დაიწყებ ურჩობას? აი შენ! — უთხრა, და რევოლვერის ცივმა ტუჩებმა გამოჰყარეს ცეცხლი, ტყვია, ბოლი, და ახალგაზრდა, სისხლით პირდასვრილი, ხროტინით გაიშხვართა იქვე.

— ესეც შენ! — გაისმა კედლების იქით და უზარმაზარი რკინის ჯოხი უცნობმა თავში ჩაჰკრა ზვინიკს და ისიც უსულოდ დაეცა იქვე გადმოკარკლული თვალებით. და დაიწყო აქედან.

ქალაქის ქუჩებზე გაჩნდა ბარიკადები.

იყო ტყვიების ზუზუნი, ძახილი.

აი, პიონერი შურას მამა ევსეი იყო მაშინ მუშების მეთაური, რომელიც დღეს ახალ ქარხანაში მუშაობს.

იდგა ის წარბშეუხრელად ბარიკადებთან ბრძოლის ცეცხლით ანთებული და ჯარისკაცების რუხი ნიაღვრის სულაც არ ეშინოდა, რომელიც ხიშტების პრიალით მოემართებოდა მისკენ.

ტყვიები ზუზუნით ეცემოდა იქვე.

აგერ ფიცრებზე ჩამოჰყვა თბილი სისხლი. ეს ევსეის მეგობარი იყო, რომელსაც ტყვია მკერდში მოხვდა და მოჰკლა.

აგერ კიდევ მეორემ სასოწარკვეთით წამოიხრიალა „მიშველეთ“ და იქვე დაეცა.

სრულიად მოულოდნელად მარცხენა მხრიდან იელვა ხმლებმა. ეს ამათი ცხენარმია იყო. იწყეს ჩეხვა ადამიანების, და რამდენიმე საათის შემდეგ ბარიკადები დარღვეულ იქნა.

— ევსეი?—იკითხა იურიმ.

— ევსეი გადარჩა მაშინ. მხოლოდ მარჯვენა მკლავზე ჰქონდა ჭრილობა. მიუხედავად ამისა, ის ამხანაგებთან ერთად მოეწყო რკინის გზის საწყობში.

სრულიად უხმაუროდ დატვირთეს ორი ღია ორნოდა შეშით. ერთი მათგანი წავიდა ნაცნობ მემანქანესთან და რამდენიმე წუთის შემდეგ მოიყვანეს ორთქლმავალიც. ორნოდები ორთქლმავალს მოაბეს და ბუფერთან გაიყვანეს.

სადგურზე ისევ მძიმე ტყვიამფრქვევები იდგენ. ფარაჯიანი ხალხი მზესუმზირას სჭამდა, მახორკას აბოლებდა.

ზოგი ფილაქანზე წამოწოლილიყო და ზანტად იქექავდა მწვირიან თავს, კერავდა დახეულ ტანისამოსს.

ციდან კი თანდათან ეშვებოდა ბინდი და მუქ სივრცეში წვეთავდენ ჰორიზონტზე დაშვებული ვარსკვლავები. სადგურის უკან სიბნელეში რამდენიმეჯერ გავარდა თოფი. ჯარისკაცები აჩოჩქოლდენ... იგრიალეს ისევ თოფებმა, და ჯარისკაცები მისცვივდენ იარაღს.

იქიდან მუშები ისროდენ. მათ უკვე ბარიკადები მოეწყოთ ბინდის დაშვებასთან ერთად და ახლა პირდაპირ სადგურს ესროდენ, სადაც დაბინავებული იყო მთავარი ნაწილი.

სადგურიდან კაკანებდენ ტყვიამფრქვევები და ფანჯრებიდან გადმოშვერილი თოფის ლულები ისევ ჭყრიდენ ცეცხლს დორბლად.

ჩაილეწა ერთიანად ფანჯრის მინები. უწესრიგო ჯგუფებად მირბოდენ დენიკინელები საფარისაკენ, მაგრამ აზმუვლებული ტყვიები ჩეჩქივით ცხრილავდა მათ.

კარებთან იდგა პოლკოვნიკი და ჰყვიროდა.

— რავა მიჯლაჯუნებ! ჩქარა! ცეცხლი!

ერთ ჯარისკაცს ფეხი ტკიოდა და ვერ მირბოდა.

— როდის მიეთრევი, შე ძაღლო!

— ვერ ვიელი და რა ვქნა, ბატონო!

— რა უნდა გააკეთო ახლა კითხულობ, შე...—წამოიღრიალა პოლკოვნიკმა.

ის ისევ მიდიოდა კოჭლობით. პოლკოვნიკმა სიბრაზის გამო თვალები გადმოქაჩა.

— შენ მაინც არაფრად გამოდგები! არ მიდიხარ ხომ, აი შენ!—უთხრა და სამი ტყვიით იქვე დააწვინა.

ამავე დროს ევსეიმ სადგურიდან მოშორებით აამუშავა მანქანა. ორთქლმავალი ათუხთუხდა, აქლოშინდა და აყარა ბოლი. ჩამოსწია საყვირის ბერკეტი და მიამგრა ასე ჩამოშვებული.

ორთქლმავალი ბღაოდა სასოწარკვეთილებით.

— უმატე სვლას! უმატე სვლას!

ეუბნება ევსეი მემანქანეს და თვითონაც ეხმარება მას.

ორთქლმავალი ბღავის ისევ გაგრძელებით და გამაზრზენი ხმით.

— ასე, ასე, პირდაპირ სადგურზე!

მიქროდა ორთქლმავალი, შრიალებდა ბნელი სივრცე ორთქლმავალის ვიწრო ფანჯრებთან.

— კი!

— იქ, სადგურთან.

— ისარი გადაწეულია და ლიანდაგზე ძელები ჭყრია!

— ძალიან კარგი! უმატე სვლას, უფრო! ასე!

მიქროდა ისევ ორთქლმავალი და ბღაობა გამაზრზენი ხმით.

— ჩამოხტი!

— ახლავე!

— მხოლოდ ფრთხილად! მე ვიწყებ!— სთქვა ევსეიმ და გაქანებული ორთქლმავლიდან გადაეშვა სიბნელეში.

— ჩამოხტენ! ჩამოხტენ! — ესმოდა მემანქანეს სიბნელიდან ევსეის ხმა, და რამდენიმე წუთის შემდეგ სიბნელეში გადმოეშვა მემანქანის ბნელი ფიგურა.

ორთქლმავალი კი კვლავ ბღავილით მიქროდა ბნელ უსაზღვროებაში და იქიდან კი მოისმოდა ტყვიების ზუზუნი.

პოლკოვნიკი თრთოდა საშინლად, ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ ბღაოდა ასე საშინლად ორთქლმავალი და შეშლილივით გამოვარდა გარეთ.

და ბნელიდან კი მოქროდა ისევ საშინელი სისწრაფით ორთქლმავალი და ბაქანთან თითქოს ცა ჩამოინგრაო, იქუხა, იჭექა რაღაცამ და შეშების გროვა დააცვივდა ტყვიამფრქვევს. გასკდა ორთქლმავალი და ცეცხლის ალი ავარდა. ირგვლივ სივრცე საშინელმა ხმაურმა მოიცვა. რა მოხდა, ვინ იყო, არავინ იცოდა.

პოლკოვნიკი იქვე დაეცა.

ჯარისკაცებმა დასტოვეს სადგური და გაიქცენ ქალაქისკენ, მაგრამ ბარიკადებიდან მუშების ჩასაფრებული ნაწილები დახვდენ.

დაიბნენ. არ იცოდენ, რა ექნათ.

— დაყარეთ იარაღი!—მოესმათ ბარიკადებიდან და მხოლოდ მაშინ გამოერკვენ. დაყარეს თოფები და მუშების შეიარაღებული რაზმები შემოერტყენ გარს და დაიმორჩილეს.

ეს იყო რამდენიმე დღის წინათ. ასეთი ბრძოლით ხელში ჩაიგდეს მთელი მათი ქონება და რამდენიმე ხნის შემდეგ ქალაქში უკვე წითელი არმიის ნაწილები გაჩნდენ...

დაშოშმინდა ხალხი.

არ იყო რბევა, ჯაშუშობა, ძარცვა. თანდათან ჩადგა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში. ამ ამბების გმირებმა ხელი მოჰკიდეს დანგრეული ქარხნების აშენებას. სწრაფი ტემპით წავიდა წინ აღმშენებლობა და, აი, ჩემო ბიჭიკო, ხომ ხედავ, დღეს, ოქტომბრის რევოლუციის თორმეტი წლის თავზე, იხსნება ახალი ქარხნები, და ზღვა ხალხიც საზეიმოდ იქითკენ მიეშურება.

დაასრულა ამბავი ბიძია არჩილმა.

იურის ყველაფერი თვალწინ წარმოუდგა და ხანდახან გააჟრჟოლებდა სისხლიანი ამბის მოგონება.

ხალხი ისევ მიიჩქაროდა ახალი ქარხნებისკენ, სადაც გუგუნებდენ ორკესტრები და ფრიალებდენ დროშების ალისფერი ტილოები.

თვითონ ქარხანაც მორთული იყო გირლიანდებით, მწვანეებით, სურათებით.

თავს იყრიდენ მუშათა წარმომადგენლები, პიონერები, მოსამსახურეები და მათი აცინებული სახეები მოელოდენ ორატორებს.

ბიძია არჩილი და იურიც იქითკენ გაეშურენ.

მზე ისევ ჭყრიდა ქარვისფერ სხივებს და ათასფრად ბრჭყვიალებდენ ფირუზის ლაჟვარდები.

არჩილ ჩაჩიბაია

მშენებლობა და ინდუსტრიალიზაცია საბჭოთა საქართველოში

ფოტო: ვისოცკისა და ლისიცინის.













1) კოოპერატიული საერთო საცხოვრებელი, 2) რკინისგზის სამმართველო, 3) სოფლად ალმშენებლობა, 4) გზას აფართოებენ ვერის დაღმართზე, 5) ახალი მშენებლობა ტფილისში, 6) საძირკველს უყრიან შენობას, 7) პიონერები რკინის ნატეხებს აგროვებენ, 8) ტუბერკულიოზის დისპანსერი 9) ფიზკულტურის დარბაზი ნაძალადევში.















1) სახკინმრეწვის ახალი ატელიე, 2) პურის საცხობი ქარხანა, 3) რიონჰესისათვის გადასაგზავნი ანძები, 4) ლენინის სახელობის ტყავის ქარხანა, 5) კომკავშირელი ქალი თუთუნის ქარხანაში, 6) ქსოვენ აბრეშუმს, 7) კომკავშირელთა ბრიგადა სტალინის სახელობის ქარხანაში (დეპო), 8) დაბახანაში. ტყავის ქარხანა, 9) სტამბაში კომკავშირელი როტაციონკასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ლტოლვილი*)

(დასასრული)

გაქცევა

— ახლა სამშვიდობოსა ვართ, ფედია. მიამბე, რა მოხდა და როგორ დაგიჭირეს? — შეეკითხა ლინი, როდესაც ფედია თავის ბინაში შეიყვანა და ვაშლების ყუთზე ჩამოსვა.

— არა, ლინ, ჯერ აგერ ის ხვრელი ამოვავსოთ, კედელში რომ არის, სანამ იქიდან ვინმეს თვალი შემოვარდება, ან კიდევ ჩვენი სიტყვები გავა. ხომ იცი, ფრთხილად უნდა ვიყოთ.

ორივენი უსიტყვოდ ადგნენ. ერთმა ფიცრის ნაჭრები აიღო, მეორემ ჩალა, მივიდნენ, ამოავსეს ხვრელი და დაშვიდებულნი წამოწვნენ ჩალაზე, რომელიც ლინს ლოგინად ჰქონდა გაშლილი.

— ლინ, მამაჩემი აქ რომ გადმოგზავნეს, მე მაშინ სამი წლისა ვიყავი. ცხრა წელიწადი ვიზრდებოდი აქ, მანჯურიაში, შენს სამშობლოში. ისეთივე სიყვარულით ვსწავლობდი შენს ენას, როგორც ჩემსას და ახლა რუსულიც ვიცი და ჩინურიც. მამა სულ იმას მეუბნებოდა, გიყვარდეს ჩინელებიო; შრომა და მუშაობა უყვართ და ყველა მაგათ სჩაგრავსო. მეც ყველას სიყვარულით ვუცქერდი. გუშინწინ კი, ლინ, შენ ჩვეულებრივ დროს არ მოხვედი, მე ყოველ წუთს გელოდი და სულ კარისაკენ ვიცქიოდებოდი. უცბად შემომესმა კიბეებზე ფეხის ბაკუნი. გამეხარდა, შენ მეგონე, მაგრამ მეორე წამში შიშმა ამიტანა, როდესაც ერთი კი არა, ათი კაცის ფეხის ხმა გაისმოდა. გადაშლილი წიგნი მაგიდაზევე დამრჩა. აბგა იატაკზე დამივარდა, მამასთან მივირბინე და სწორედ ამ დროს კარიც შემოიღო.

— ხელები მაღლა! — შემოგვძახეს თეთრგვარდიელებმა.

შევკრთი და ტანში ჟრუანტელმა დამიარა, დამიზნებული თოფი რომ დავინახე. შევხედე მამას და ვნახე, რომ მის სახეზე სიამაყე და უშიშროება გამოიხატებოდა. მაშინ მეც სიმხნე მომეცა. ტანში გავსწორდი. ველოდებოდი მამას, რომ მეც იგივე მექნა, რასაც ის იზამდა.

მამამ უთხრა:

— გველაძუებო, გნებდებით.—და ხელები მაღლა ასწია. ამოგვიდგნენ უკან და წაგვიყვანეს. გზაში რამდენჯერმე მამას კონდახი დაარტყეს, ერთხელ მეც მომხვდა, ეს იმიტომ, რომ მას გამოვესარჩლე. გულწასული დავეცი. როდესაც თვალი გავახილე, ირგვლივ მიმოვიხედე, დედმამა აღარა ჩანდა. სხვებმა მითხრეს, რომ ისინი ცალკე წაეყვანათ. დავრჩი მარტო და ახლა არ ვიცი სად იმყოფებიან. იმიტომ უფრო გადავწყვიტე გამოქცევა.

გაკვირვებული უსმენდა ლინი და როდესაც ფედიამ სიტყვა დაამთავრა, შეეკითხა:

— ვინ არიან თეთრგვარდიელები?..

— ეგენი არიან დამარცხებული ბატონები. ჩემს ქვეყანაში მუშები განაგებენ ქვეყანას, ეგენი იქიდან გამოიქცნენ, რადგან ბატონებს იქ აღარავინ არ ინახავს.

ახლა კი მიხვდა ლინ, თეთრგვარდიელბი რათ სცემდნენ ყოფილ მონებს, ეს იმიტომ, რომ ისინი მათ ეურჩებოდნენ, სწორედ ისევე, როგორც ბატონი ხან-ლიუ სტუქსავს ხოლმე ლინს, როდესაც ის საქმეს არ შეუსრულებს.

ბევრი ისაუბრეს ჩუმი და მეგობრული ხმით, მერე კი დაღლილობამ ორივეს თვალზე რული გადააკრა და მიეძინათ.

განთიადისას ლინმა ფედიას ადგომა დაასწრო, მას ეშინოდა ბატონი ხან-ლიუ არ შემოსულიყო მასთან და გარეთ გავიდა, კართან გაჩერდა.

ამ დროს ოთახის კართან ხან-ლიუ გამოჩნდა. მას ლინის დანახვაზე სახე დაემანჭა, თვალები მუგუზლებივით აენთო და ბრაზმორეული გაემართა მისკენ.

— სადა გდიხარ დღე და ღამე, შე მაწანწალავ? — მიაძახა და დასწვდა იქვე კუთხეში მიყუდებულ წკეპლას.

შეკრთა ლინი. ადგილიდან ვერ დაიძრა; ის კი მიუახლოვდა.

— პურს იმიტომ გაჭმევ, რომ ქუჩა-ქუჩა იხეტიალო? — დაუმატა და საყელოში ხელი სტაცა, პირქვე დააწვინა, მერე მიჰყვა და იმდენი სცემა ზურგზე, ვიდრე ხალათი არ შემოაფხრიწა.

ატირდა ლინი, აყვირდა ლინი. მაგრამ ვინ დაეხმარებოდა მას! ესმოდა ლინის ტირილის ხმა ფედიას, მაგრამ მას გარეთ გასვლის უფლება არ ჰქონდა, ის დამალული იყო, ან რას უშველიდა.

მერე კი ხან-ლიუმ, როდესაც ცემით გული მოიჯერა, წკეპლა გვერდზე მიაგდო, მაჯები გაისწორა და ბინისკენ გაემართა.

მიდიოდა და მაინც ბუზღუნებდა, თითქოს მთლად ვერ იჯერა გულიო.

ლინი კი კარგახანს ტიროდა, მერე ტირილი კვნესად გადაექცა და ბოლოს კვნესაც შესწყვიტა. ცრემლნარევი, გულდათუთქული წამოდგა ზეზე. ერთხანს იდგა ჩუმად და დასცქეროდა ერთ წერტილს. ცოტა ხნის შემდეგ ხან-ლიუმ ბრძანების კილოთი გადმოსძახა:

— ლინ, აბა ჩაი!..

და ლინი გაემართა ჩაის მოსამზადებლად. ისე სტკიოდა ზურგი, რომ ძლივს იხრებოდა, მაგრამ მაინც აცრემლებული სახით დააჰზადა დილის ჩაი. სანოვაგეც მოიტანა, მის ცოლს გაფცქვნილი ფორთოხლები და ბანანები შეუტანა სინით. ემსახურა, როგორც საჭირო იყო, და ისევ თავის სტუმარს შეუბრუნდა. თავისი წილი საჭმელი გადაურჩინა ფედიას, მეგობარი მოასულიერა.

ის სულ კუთხეში იყო მიმჯდარი, ისეთ ადგილას, სადაც ძნელად თუ შენიშნავდა ვინმე.

მოსწყინდა ფედიას უსაქმოდ ჯდომა. სიტყვა არ დაუძრავს ლინის გაწკეპლვის შესახებ, არც ლინს ამოუღია ხმა. ის გუშინ ტანჯვას განიცდიდა და თითქოს რცხვენოდა კიდეც ამხანაგის, მაგრამ რა ექნა, რით შეეძლო წინაალმდეგობის გაწევა?!.

— ლინ,-გადასძახა ფედიამ ხავერდივით თბილი ხმით.

— რა იყო, ფედია?..

— როდემდე უნდა ვიყოთ ასე?

გაჩუმდა ლინი. პასუხი ვერ გასცა. ფედიაც გაჩუმდა და ფიქრებში შეცურდა. დიდხანს გაშტერებულნი შესცქეროდნენ სხვადასხვა წერტილს.

უცბად ფედიამ ხმამაღლა წამოიძახა:

— იცი, ლინ, მე ერთი კარგი აზრი მომივიდა.

— რა აზრი? — ისეთივე ალტაცებით შეეკითხა ლინი.

— აი, რა: შენ ხომ ბატონის ხელში ხარ, ხომ?.. ის შენ გაწუხებს, ბევრს გამუშავებს, გცემს კიდეც, ხომ?

— ჰოო, მერე?..

— მერე და, შენცა და მეც გავიქცეთ იქ, საბჭოთა ქვეყანაში, იქ კარგად ვიქნებით, არავინ არ დაგვარტყამს თოფის კონდახებსა და წკეპლას.

ერთხანს უპასუხოდ იდგა ლინი, მერე მოიგონა „წკეპლა“, მის ბეჭებზე და ზურგზე რომ ხმაურობდა, და გადაწყვეტით უთხრა:

— კარგი, გავიქცეთ...

— მაშ ამ საღამოსვე.

*) დასაწყისი იხ. № 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგიტკოლონა სოფლად

1.

ჩვენს კოლექტივში არის ხმაური,
ყველას ერთი გვაქვს აზრი და ფიქრი:
— აგიტკოლონას შევხვდეთ ხალისით,
მტკიცე რიგებით და კოლექტივით...

ეგ პირველია, ჩვენ არ გვინახავს
ამგვარი საქმე, შრომა და ჯაფა,
რომ სტუმრებოდა ოდესმე სოფელს
მუშათა რიგი ქალაქისაგან.

და კოლექტივი აღარ ისვენებს,
რთავს პლაკატებით სკოლას და ეზოს.
აქვე არიან სოფლის გლეხები,
რომ სიხარული იმათაც ერგოთ.

2.

ხევში დაგდებულ შარაზე
მორბის მანქანა თქორებად,
მორბის მანქანა, ქალაქელს
ხევი არ ეუცხოება.

გადმოირბინა მაღლობი,
რა საუცხოო მხარეა!
ხევს ხედავს შვაზე გაპობილს
და ირგვლივ სილაჟვარდეა.

აღარ მოდიან ნადიმზე,
გლეხებსაც ასე უნდოდათ,—
დღეს ეკლესიის ადგილზე
სკოლა და საკრებულოა...

რაღა უჭირდათ გლეხებს, რომ
მანქანა წინათ ჰქონოდათ?
სოფელს ესტუმრა ურიცხვი
მუშათა აგიტკოლონა!!!

3

ჩვენ სასიმღეროდ ხომ არ მოვსულვართ,
ჩვენ შრომაც გვინდა, ხალისის გარდა.
ბეჭდავს გაზეთეს მწყობრად, რიგ-რიგად
ველზე დადგმული „ამერიკანკა“.

„ჩვენ დავუჭიროთ ერთმანეთს მხარი,
გავაჯანს ღოთ ჩვენი ცხოვრება,
რომ გავადიდოთ მოსავალი და
ავსწიოთ სოფლის მეურნეობა“.

დილა-ადრიან მუშათა რიგი
როს სამუშაოდ გავიდა ველად,
რიგშივე გაჰყვა მას კოლექტივი,
გააქვს ხმური ურიოს და წერაქვს!

4

და საღამომდე შრომობენ ასე,
საუცხოოა მთელი უბანი;
დაღამდება და სკოლის ეზოში
არის კამათი და საუბარი.

„გვჭირდება მეტი შრომა და ჯაფა
და დახმარება ქალაქელ მუშის,
რომ შრომისა და ბრძოლების გარდა
გავხდეთ ახალი ყოფისა ბურჯი“.

და ერთი კვირა აგიტკოლონამ
დაჰყო სოფელში და უხარია,
სოფლის გლეხებში რომ ჩაატარა
საუბარი და აგიტაცია.

დღეს კოლექტივი ხარობს და მღერის,
აცილებს გრძნობით ქალაქელ მუშებს,
ქალაქს გაუდგა ავტომანქანა
და უკან სტოვებს ხმურით ქუჩებს!

ალ. ადამია

გადასწყვიტეს პატარა მეგობრებმა და მხოლოდ დაბინდებას-ღა ელოდენ, რომ გზას შესდგომოდენ.

მზეც ნელი-ნელ იხრებოდა დასავლეთისკენ. ჩრდილი შემოეპარა სივრცეს, ცას კი ვარსკვლავები.

ქურდულად გამოიპარენ მეგობრები დანგრეული სამზარეულოდან. ფეხაკრეფით გამოვიდენ ეზოდან და დაადგენ გზას. მიცუნცულობდენ პატარა ლანდები მინდვრებზე, გორაკებზე და ძლივს იკვლევდენ მიმართულებას. მთვარე უნათებდათ გზას, ვარსკვლავებიც ეხმარებოდენ სინათლის დაფრქვევაში, მათი თვალები ხომ, როგორც ანთებული კვარი, კრაოდენ, ბრწყინავდენ.

ტანჯვა-წვალებით გადაიარეს კლდე-ღრე, ჭაობიანი ადგილები, მიუახლოვდენ რიყეს, და მდინარე ამურის მუქი ზოლიც გამოჩნდა. შორიდანვე მოესმათ მისი ნელი, მდორე დუდუნი; აქ თავდებოდა ჩინეთის საზღვარი.

მდინარის გაღმა უკვე სამშვიდობოს იქნებოდენ, მაგრამ როგორ გადასულიყვენ.

ლინს ხშირად უცურავნია აქ. იცის მისი ფონიც, მორევიც, მაგრამ ბნელაში არაფერი არა ჩანდა.

წამოწვენ ქვებზე და განთიადს დაელოდენ.

გადასწყვიტეს რიჟრაჟისას გასულიყვენ მეორე ნაპირს.

მზე კიდევ ამოვიდა. მან ისევ აანთო დილა ცეცხლოვანი სხივებით და ჰაერში სითბო ჩაღვარა.

თხელი ადგილი მონახეს ლტოლვილებმა. რამდენიმე დღის გამოტანჯული ბავშები ძლივს გავიდენ მეორე ნაპირზე.

აი, წითელარმიელთა საგუშაგოც დაინახეს.

სიხარულით აევსოთ გული. მიუახლოვდენ კიდეც და როდესაც გუშაგმა დაინახა, ხმამაღლა შესძახა:

— ვინა ხართ?!.

— თქვენები!.. წკრიალა, ოქროს ეჟვნების მაგვარი ხმა გაისმა ჰაერში.

მიუახლოვდა გუშაგი პატარა ბიჭებს, მხარზე ხელი დაარტყა და შეეკითხა:

— საიდან მოდიხართ?..

— ჩინეთიდან გამოვიქეცით,— უპასუხეს ერთად.

გადასცა გუშაგმა პატარა ლტოლვილები წითელარმიელთა შტაბს, სადაც ისინი სიხარულით მიიღეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ წითელარმიელთა და მეთაურთა მთელი ჯგუფი აღტაცებით და ბრაზით ისმენდა მათ მოყოლილ ამბებს.

მინაწერი.

ლინი და ფედია მოსკოვში გაგზავნეს. ახლა ისინი ერთად სწავლობენ შრომის სკოლაში. ფედია უცდის ჩინეთთან შეთანხმებას, რომ დედა-მამა გაუთავისუფლონ და ისევ დაუბრუნონ, ლინი კი სწავლობს, რომ გაიგოს მშრომელთა და ბატონთა ბრძოლის მიზეზი, რომ მერე ჩინეთში დაბრუნდეს და აუხსნას თავის თანამოძმეებს, თუ ვინ არიან მათი მტრები.

ელიზბარ პოლუმორდინოვი

ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

(ამხ. კრუპუანოვსკის მოხსენებიდან პიონერთა პირველი საკავშირო შეკრების კონფერენციაზე)

თქვენთან ჩემს საუბარში მინდა შევჩერდე ხუთწლიანი გეგმის იმ ნაწილებზე, რომელნიც დაგვეხმარებიან საკუთარი ცხოვრების გეგმის შედგენა-დალაგებაში.

ხუთწლიანი გეგმის მასალების შესწავლა უნდა იყოს თქვენი მუდმივი მუშაობის საგანი; თქვენ ჩვენთან ერთად დაინახავთ, თუ რაოდენ ღონისძიებას, საშუალებებს ვაბანდებთ მომავალ უახლოეს წლებში: მილიარდ მანეთებს და ამ საქმის მწარმოებელ რამდენიმე ასიათას მუშას. თქვენ დაინახავთ, თუ როგორ ვუწევთ ანგარიშს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეების თავისებურ და განსაკუთრებულ პირობებს, როგორ ვაშენებთ უზარმაზარ ფაბრიკებს და ქარხნებს მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, სად და როგორ ვთხრით მიწის გულს, ვიღებთ ნახშირს, სპილენძს, როგორ ვყრით მილიონზე მეტ ტონა წანახშს უზარმაზარ ორთქლის ქვაბებში, როგორ ვიყენებთ საწვავ ენერგიას უდიდესი ელექტროსადგურების ასამოძრავებლად, როგორ ვაქცევთ წყლის ენერგიას ელექტროენერგიად.

თქვენ დაინახავთ, თუ როგორ ვჭიმავთ ასეული კილომეტრის მანძილზე ელექტრობის მავთულებს, როგორ ვსერავთ რკინისგზებით მთელ ჩვენს ქვეყანას, რომ საწარმოო ცენტრს მივამაგროთ და დავუახლოვოთ ჩვენი ქვეყნის შორი მხარეები, რომ გამოვიყენოთ დღემდე დაუმუშავებელი და გამოუყენებელი მხარეები.

თქვენ დაინახავთ, თუ როგორ ვანაწილებთ ჩვენს ქვეყანას უზარმაზარ ეკონომიურ რაიონებად, დაინახავთ, რომ ჩვენ დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით სხვაგვარად ვაწყობთ და ვაშენებთ მეურნეობას. თქვენთვის ნათელი იქნება, თუ როგორ ვფიქრობთ ციმბირის სიმდიდრის გამოყენებას და როგორ გვინდა მოვაწყოთ ჩვენი კავშირის მარგალიტი და საგანძური სამხრეთი—კავკასია, ყირიმი და უკრაინა—და ყველა ეს უნდა იყოს თქვენი სწავლის საგანი, რასაც ალბათ დასჭირდება თვეები და წლები.

დიდი აღმშენებლობის გეგმა.

და მხოლოდ ამაში არ არის ხუთწლიანი გეგმის სიდიადე, რომ ჩვენ ამ დიდი ამოცანებით ვუთანასწორდებით მსოფლიო ისტორიაში არ ნახული ტემპით და ვადის ჯერ არ ნახული სისწრაფით **იმ** ქვეყნებს, რომელნიც მუშაობდენ ჩვენზე ადრე სამეურნეო სფეროში და ბევრით გაგვასწრეს. საქმე ეს როდია.

ხუთწლიანი გეგმის სიდიადე იმით გამოიხატება, რომ ჩვენ ვაშენებთ ახალ სამეურნეო ყოფას, სადაც მეფობს სულ სხვაგვარი ურთიერთობა ადამიანთა შორის, ვიდრე ეს იყო კაცობრიობის მთელს წინანდელ ისტორიაში, ვიდრე ის ახლა არის ჩვენს საზღვრებს **იქით**, კაპიტალისტურ სამყაროში.

ოქტომბრის გადატრიალებამ შექმნა მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფო და ამით გადაიშალა მსოფლიო ისტორიის დიადი ფურცელი. ჩვენი ქვეყანა არის ერთადერთი მხარე მსოფლიოსი, სადაც კანონი მშრომელთა ნებიდან გამომდინარეობს, და ეს კანონი **უწინარეს ყოველისა** ლაპარაკობს: „**მოდით, მოვაწყოთ** ცხოვრება ისე, რომ შეუძლებელი იყოს კაცის მიერ კაცის გაყვლეფა-ექსპლოატაცია. მოდით, მოვაწყოთ შრომის ისეთი ამხანაგური კოლექტივი, რომელშიაც გაქრებიან, მოისპობიან ექსპლოატაციის ფესვები, რომელიც მილიონთა უბედურებით საკუთარი ბედნიერების მოპოების განსახიერებაა. მოდით, ამ მრავალმილიონიანი შრომის კოლექტივის ძალებით მოვაწყოთ ისეთი მეურნეობა, რომელშიაც გეგმაშეზომილად დაიხარჯება ყოველი სახალხო სამეურნეო რესურსი, ყოველი კაპეიკი, რომელიც მოკლე ხანში მშრომელთა ნებას დაუქვემდებარებს იმ ყოვლად შემძლე ძალებს, რომელნიც იშლებიან შეთანხმებულ შრომის კოლექტივში და ამ კოლექტივის გარშემო მყოფ ბუნებრივ სტიქიებში,-მოდით, ვაშენოთ სოციალისტური საზოგადოება.

აი, სიდიადე ხუთწლიანი გეგმისა ისაა, რომ ის გვაჩვენებს კონკრეტულ გზებს ამ სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად. მხოლოდ ასეთი საზოგადოება არის საზოგადოება, რომელიც განახორციელებს დევიზს, რომელზეც ოცნებობდენ ჩვენი პოეტები, როდესაც ამბობდენ: „ადამიანი არსებობს ბედნიერებისათვის ისე, როგორც ფრინველი, ჩიტი—ფრენისთვის“.

ამ ახალ აღმშენებლობას, ჯერ არ ყოფილს მთელს ქვეყანაში, ჩვენ ვეწევით მხოლოდ საკუთარი ძალებით, მაშინ, როდესაც გარშემორტყმული ვართ მტრებით, რომელნიც ყოველგვარ ღონეს ხმარობენ, კბილებს ილესავენ, ცოფდებიან, რომ მოგვსპონ, რადგან ამ მშენებლობის განხორციელება მთლიანად, ხუთწლიანი გეგმის დაგვირგვინება ლაპარაკობს იმაზე, რომ მათი ძველი ქვეყნის დასასრული ახლოვდება. ჩვენი მიღწევები მათთვის მახვილია. ამ ბრძოლაში ვაშენებთ ჩვენ საკუთარ ენერგიაზე დამყარებით.

რაზე არ ოცნებობდა ჟიულ ვერნი

ბავშვებო, ბევრი თქვენგანი იქნებოდა გატაცებული მოგზაურობით, ჟიულ ვერნის რომანებით და მოთხრობებით. რით არის ძლიერი ეს მწერალი? რატომ იტაცებს ასე ახალგაზრდა გონებას? ნორჩი გონება უნებურად მიიწევს ყოველთვის იმისკენ, რაც მისთვის უცნობია. ჟიულ ვერნიც მოუთხრობს უნახავ და შორეულ მხარეებზე, რომელნიც ამბობენ იმაზე, თუ როგორის ტანჯვით და და სიძნელით, ბუნების ძალებთან ბრძოლაში, **ხორციელ**დებოდა ადამიანის მიერ დასახული **მიზნები**. ამით იპყრობს იგი ახალგაზრდათა ყურადღებას.

თქვენ მზად უნდა იყოთ სწავლისა და შრომისათვის, რომ ხუთწლიან გეგმაშიც შესძლოთ მონახვა არა ნაკლებ წარმტაცი მასალებისა. ყველა შანსი აქეთკენაა. მოიგონეთ, როგორ ჰქმნიდა თავის რომანებს და მოთხრობებს ჟიულ ვერნი. ის იყო დიდი ენტუზიასტი ტექნიკის და ცდილობდა ამ რომანებში და მოთხრობებში ეჩვენებინა, თუ როგორ იჭრებიან ცხოვრებაში ტექნიკის საოცრებანი და როგორ ცვლიან ცხოვრების პირობებს. მაგრამ, ამხანაგებო, ის საოცრებანი ტექნიკის, რომელზედაც ვაშენებთ ჩვენს სამეურნეო გეგმას, ისეთებია, რომ ჟიულ ვერნი მათზე არც კი ოცნებობდა.

მე-XX საუკუნის ტექნიკის განვითარებამ ჟიულ ვერნის ყველა აქარიშხლებული ოცნება გაამართლა. **ხუთწლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებიდან

დღეს სკოლიდან შინ მოიჭრა
გიგლა რაღაც გრძნობით სავსე...
აღტაცებას ვერ ფარავდა
და მოუთხრო დედას ასე:

— ჩვენ სკოლაში კრება გვქონდა,
გავარჩიეთ კითხვა ერთი:
როგორ უნდა შეგვედგინა
მოწაფეთა კომიტეტი.

ავირჩიეთ თავმჯდომარე,
მე კი მდივნად გამიყვანეს...
და ცნობისთვის, პირველ სიტყვით
გამოვიდა სკოლის გამგე.

მან მოგვმართა: „გულით ვხარობ,
რომ გიყურებთ ასე მკვირცხლებს...
დღეს პატარა მეგობრებად
და უფლების ხალხად გიცქერთ.

აქ და სახლში გარჯილობით
შეჩვევიხართ ფხიზელ დგომას,
რითაც თქვენთვის გაზაფხულობს
ზამთარიც და შემოდგომაც.

ახლა იცით?! თქვენს საქმეზე
ზრუნვა თქვენვე მოგიხდებათ...
ამისთვისაც დღეს აირჩევთ
ერთ ბავშს ჯგუფის ხელმძღვანელად“.

ეს გვითხრა, და ჩვენ კი კრება
გავაგრძელეთ საუბრებით,
სადაც ფიქრებს მოკლე სიტყვით
გამოსთქვამდენ მეგობრები.

ვგრძნობდით: ახლა ამგვარ კითხვებს
უნდა შლიდეს თურმე ბავშიც,
საკმარისი არ ყოფილა
მარტო წიგნი და თამაში.

ასე ფრთხილად, რიგ-რიგობით
ვაფასებდით კანდიდატებს
და შემთხვევით იმათ რიცხვში
მოჰყვა ნიკას კალისტრატეც.

მაშინ სიტყვა მოვითხოვე
და მივმართე ამხანაგებს:
,,კალისტრატე ამ საქმეში
ერთი დღითაც ველარ გვარგებს;

მამა მაგის სირაჯია,
ღვინოს ვაჭრობს ოცი წელი...
თვით ხომ, ხედავთ, სულ ზარმაცობს,
პირს არ იბანს, შრომას წყევლის.

ამის შემდეგ ვერ ვენდობით,
წამოწყებებს ყველას ჩაშლის...
ჩვენ სხვა უნდა გამოვნახოთ,
აი, თუნდაც ქეთო ჯაში.

იგი მუდამ ფხიზელია,
ეურჩება ყოველ გულშავს...
დედა შრომობს, მამაც კიდევ
ირიცხება დაზგის მუშად“.

სხვებმა სხვა სთქვეს... იკამათეს,
ბოლოს ყველა დამეთანხმა,
და ტაშის კვრით, ჟრიამულით
გავიყვანეთ ქეთო ერთხმად.
კრებას მოვრჩით... დავიშალეთ,
წამოვავლეთ ხელი წიგნებს...
მოვედი და ახლა შენ სთქვი,
ჩვენც ხომ ვარჩევთ შავს და წითელს!?

დედამ შვილი მიიზიდა,
დაუკოცნა მშვიდად სახე,
და ალერსი ძღვნად რჩებოდა
გიგლასა და კრების საქმეს.

გიორგი კაჭახიძე

გეგმა დაგვანახვებს, თუ როგორ იქცევა სინამდვილედ ტექნიკის ეს საოცრებანი და ჩვენს შემდგომს განვითარებაში, ხუთწლიანი გეგმის დაგვირგვინების შემდეგ, როგორ განსახიერდებიან გიგანტურ მიღწევათა რიგებში.

უცნობ მხარეებზე

მართალია, ჟიულ ვერნს უყვარდა თავისი მკითხველების ტარება ულრან ტყეებში, ველებზე, უდაბნოებში და უცნობ, გამოუკვლეველ მხარეებში. ჩვენი კავშირი დიდია, ჩვენც გვაქვს ულრანი ტყეები, ჩვენც გვაქვს პამპასები. ჟიულ ვერნს უყვარდა მეცნიერი გმირების მოცემა. ჩვენი ხუთწლიანი გეგმა სწორედ გვაცნობს ჩვენი მხარის აუარებელ გამოურკვევ სიმდიდრეს, ის იძლევა აგრეთვე შრომის გმირებს, მეცნიერ გმირებს და შეიძლება უფრო კარგად, ვიდრე ჟიულ ვერნი, გვაჩვენებს, თუ რა დიდი საოცრებაა ამ გმირთა მიღწევანი, იმიტომ რომ ისინი იქმნებიან ადამიანის მასალით და იმ სიმდიდრეებით, რომელიც ადამიანთა ამ ოჯახში მოიპოვება.

ჟიულ ვერნი ვერ გრძნობდა იმას, რომ ტექნიკის ის საოცრებანი, რომელსაც თვითონ აღწერს, არღვევენ კაპიტალისტურ წყობას, ჩვენ კი ჩვენს ხუთწლიან გეგმაში ვხედავთ, რომ ტექნიკის ამ საოცრებას ემატება, უკავშირდება მეორე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი საოცრება—ემატება მშრომელთა დაორგანიზებული ნება, რომელიც ჩამორჩენილ მხარეს ქვეყნიერებს მოწინავე სახელმწიფოდ გადააქცევს.

ხუთწლიანი გეგმის ორი საოცრება

ამიტომ, ბავშვებო, უნდა მოემზადოთ გონებრივად, რომ მონახოთ ეს წარმტაცი მასალები ფართე შრომებში, რომელნიც არიან და იქნებიან მაშინაც, როდესაც ჩვენ განვახორციელებთ და შევასრულებთ ჩვენს საპერსპექტივო სამეურნეო გეგმას.

მე ვთქვი, რომ ორი საოცრებაა შეერთებული ჩვენს ხუთწლიან გეგმაში, ეს არის ერთი—ათვისება ტექნიკის მონაპოვრისა, და მეორე—ახლად დაორგანიზებულ

ადამიანთა კოლექტივები: ამაშია დაგროვებული მთელი მასალა ხუთწლიანი გეგმის, ამაშია მისი ილუსტრა დასკვნა

რა დასკვნაა აქედან თქვენთვის, საით უნდა მიმართოთ თქვენი გონებრივი მუშაობა?

სანამ ხუთწლიანი გეგმის შესწავლას შეუდგებოდეთ, საჭიროა რაღაც ჯამი წინასწარი ცოდნისა.

რა არის საჭირო პირველ რიგში?

განვითარება მათემატიკის და ბუნებისმეტყველების დარგში.

ეზოს სწმენდენ

რა არის მათემატიკა?

ეს არის ნამდვილი დისციპლინა გონების, ეს ფრთეა გონების, ახალგაზრდა ამხანაგებო.

რა არის ბუნებისმეტყველება და რას ნიშნავს მისი უნარიანი შესწავლა?

ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ამახვილებთ თქვენს გონებრივ ხედვას, აფართოებთ თქვენს დაკვირვებას, და მხოლოდ გაფართოებული დაკვირვებით, გაფართოებული ხედვით შეგიძლიათ დაინახოთ ცხოვრება ისე, როგორიც არის ის სინამდვილეში.

აუხილეთ თვალები მილიონებს

გახსოვდეთ, რომ საბჭოთა მხარე სამართლიანად ითვლება შრომის რესპუბლიკათა კავშირად, განსაკუთრებულ მხარედ, რომელიც განთავისუფლებულია შრომის წინანდელი ბორკილებისაგან. შრომის ისტორია გაჩვენებთ, თუ როგორი გრძელი ბრძოლა და ტანჯვა უნდა განეცადა ადამიანს, რომ განეხორციელებია ეს დიდი ხნის ოცნება, რომ შეექმნა ჯერ არ ნახული სახელმწიფო — საბჭოთა შრომითი კავშირი, ჭეშმარიტი საშობლო მშრომელთა. თქვენთვის თანდათან ნათელი იქნება სიდიადე იმ საქმის, რისთვისაც თქვენ იბრძვით, მიხვდებით, თუ რატომ მართლდება ყველა ის მსხვერპლი, რომელსაც იწირავს ეს ბრძოლა. მაშინ თქვენთვის გასაგები იქნება ხუთწლიანი გეგმის ერთადერთი ღერძი, ერთი საერთო დალაგება.

როგორია ღერძი, როგორია დალაგება?

ჩვენ ვამბობთ: სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა მაშინ არის სისწორით აშენებული, როდესაც მასში ყველა პირობა, ორგანიზაციის ყველა გარემოება და შრომის ტექნიკური შეიარაღება იქნება გათვალისწინებული.

მსოფლიო შრომის ისტორიის შესწავლამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე, რომ, როგორც აგენტი შრომის, ადამიანი ერთსადაიმავე დროს დიდიც არის და პატარაც. ის პატარაა იმდენად, რამდენადაც ემყარება თავის ფიზიკურ ენერგიას. ადამიანის ძალა, როგორც აგენტი წარმოების, ყველაზე უფრო ძვირი, ყველაზე უფრო მცირეპროდუქტიანი ძალაა, მაგრამ ადამიანმა, შეიარაღებულმა თავისი სულიერი ფართო ენერგიით, რომელმაც გაიარა ცოდნის გარკვეული დისციპლინა, არ იცის მეტოქე ქვეყანაზე. იქ ის დაუძლეველია.

რაში მდგომარეობს ხუთწლიანი გეგმის ამოცანები?

სამეურნეო წყობა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ფიზიკური შრომა შეიცვალოს ავტომატების მეტი მუშაობით, ლითონის მანქანებით და როგორმე გავათავისუფლოთ რაც შეიძლება მეტი სულიერი ენერგია ადამიანის, რომელშიაც მას არა ჰყავს მეტოქე.

შრომის ისტორიის და მანქანათა განვითარების ისტორიის შესწავლით თქვენ დაინახავთ, რომ მანქანას აქვს ორი ფლანგი, ორი ბოლო. ერთის მხრით არის ამსრულებელი მექანიზმი მანქანის. როგორია მისი ამოცანა? იგი ლითონის ავტომატით ცვლის ადამიანის ხელს, სახელოსნო მოქნილობას, — პროფესიონალურ ჩვეულებას ამ ხელებისას. მეორე ბოლო მანქანისა რკინის ავტომატით იკრებს ბუნების ენერგიას და მოძრაობაში მოჰყავს მანქანა, — ეს არის მამოძრავებელი ნაწილი.

მანქანათა ისტორიის შესწავლით ჩვენ მივედით ასეთ დასკვნამდე, რომ XX საუკუნე ჩვენთვის დამახასიათებელია ამ მამოძრავებელი მანქანების ყველაზე უფრო გიგანტური განვითარებით.

დაუფასებელი სამსახური გაგვიწია ჩვენ ელექტრობამ. ელექტრობა თანდათან უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ხდება როდესაც ვფიქრობთ ამა თუ იმ საწარმოო საქმის განხორციელებას. როდესაც გაეცნობით შრომის ისტორიას და მზად იქნებით ამგვარი ტექნიკური ცოდნის ათვისებისათვის, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან მანქანათა ისტორიის და სხვადასხვა ენერგიის ათვისებას, თქვენთვის სავსებით აშკარა იქნება ხუთწლიანი გეგმის ასეთი სურათი; მაშინ თქვენ გაიგებთ, თუ რატომ არის ბრძოლა ფოლადისათვის, მანქანათა მშენებლობისათვის და ელექტროფიკაციისათვის ის გასაღები, რითაც გავაღებთ კარს ახალ სამეურნეო წყობისას. თქვენ დაინახავთ, თუ რატომ ვხმარობთ ასე, და არა სხვაგვარად, ფიზიკის და ქიმიის ბერკეტებს, რომ ბუნების ყველა სტიქია გახდეს ადამიანის ნების მორჩილი.

მაგრამ შრომის იგივე ისტორია გაიძულებთ გულდასმით შეისწავლოთ ხუთწლიანი გეგმის ის სტრიქონები, რომელნიც გეუბნებიან კულტურული მუშაობისა, ადამიანთა ურთიერთობისა და შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესახებ. თქვენ დაინახავთ, თუ რამდენი წელი უნდა გადაგვეტანა ბრძოლით, რომ კაპიტალისტური სახელმწიფო ცხოვრებისთვის, სადაც მშრომელი იბოჭება და ვარდება ტყვედ სარწმუნოებრივი აბდაუბდის რკალებში, დაგვეპირისპირებინა ახალი ხელისუფლება მუშათა და გლეხთა, დაგვეპირისპირებინა კერძო ინტერესებით აშენებული მეურნეობა, მშენებელთა ინტერესებით და გეგმებით აგებული მეურნეობისთვის, რომელიც მოყვანილია მოძრაობაში არა ერთეულების, არამედ სოციალისტური სახალხო მეურნეობის უზარმაზარი კოლექტივების მიერ.

თარგმანი **ვ. ჩაჩიბაია**

ქიმიის საოცრებანი

ელვარე წითელი კარმინი.

შენს მიერ მოკრებილ საღებავებში არის ელვარე წითელი საღებავი—კარმინი. როდესაც აფერადებ საღებავებით შენს მიერ დახატულს სურათს, შენი სახატავი ფუნჯი უმრავლეს შემთხვევაში გაჟონილია კარმინის ხსნარით.

ბაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს ახალი შენობა

ეს იმიტომ, რომ შენს მიერ შეგროვებულ საღებავებში ყველაზე ლამაზი და ელვარე წითელი კარმინია. შენი ყელსახვევიც შეღებილია ელვარე კარმინით. შენი პიონერის დროშა—ელვარე წითელი კარმინის ფერია. შენს თვალწინ გამვლელთა ტანისამოსებს არშიები რომ აქვს გაყოლებული—კარმინით არის შეღებილი. შენ ნახავ აგრეთვე კარმინით შეღებილ ქსოვილებს. კარმინით იმიტომ ღებავენ, რომ ეს მეტად სასიყვარულო საღებავია ქსოვილების ქარხნებისათვის.

კარმინს ორი სანშობლო და ორი ისტორია აქვს.

ტროპიკული მექსიკის იაგუარის, ნიანგისა და ხოჭოებიდან გაკეთებული წვენის ისტორია.

გაზაფხულის დასაწყისში საფრანგეთიდან ქ. მარსელის ნავსადგურიდან მიემგზავრება საოცარი ექსპედიცია. ეს ექსპედიცია გადასჭრის ატლანტის ოკეანეს და მექსიკის ერთ-ერთ უშორეს ნაპირზე გადმოვა. ნაპირი ქვიშიანია, სადაც იკლიანი ბუჩქნარები იზრდება და მშრალი, სრიალა მდელოა. გაივლით თუ არა პატარა მანძილს, იწყება ტროპიკული ტყე.

ევროპელი ასეთს ტროპიკულს ტყეში შესვლას ჩვეული არ არის. აქ არის წითელი, შავი და ვარდისფერი ხეები, სურნელოვანი ნაძვები, ლელვის მცენარეები, მიმოზები, უზარმაზარი ბზის ხეები, სხვადასხვა ფერის ყვავილები და მუდამ მწვანე მუხის ხეები. ამ ტყეში შეხვდებით ეგრეთწოდებულს გიგანტურ პეპელებს, სხვადასხვა ფერის თუთიყუშებს და სასაცილო გრძელდინგიან ბუზიყლაპიებს.

აქაური სილამაზე ევროპელს არც კი დაესიზმრება.

მაგრამ სამაგიეროდ აქ ყოველივე ბუჩქის შემდეგ, ყოველივე ჩავარდნილი ადგილის გავლის დროს მოსალოდნელია ადამიანის სიკვდილი. აბა, ვინ უნდა დარწმუნდეს, რომ ამ მუდამ მწვანე მუხის ფოთლებში არ იმალება იაგუარი? აბა ვის შეუძლია სთქვას, რომ ამ დიდს ჭაობებშ, რომელიც დაფარულია გვიმრებით, მოულოდნელად თავს არ ამოჭყოფს ნიანგი? და განა შესაძლებელია თუნდაც ერთი წუთით იყოს ადამიანი დამშვიდებული მექსიკის გველის დაცემის მოლოდინში, ან პატარა მოწამლული კოღოს კბენის შიშით, რომელიც აავადმყოფებს ადამიანს საშინელი ტროპიკული ნეულებით? ტროპიკული ტყის ცხოვრება სავსეა სასიკვდილო საშიშროებით.

და ამ საშინელს ტყეში, სადაც ნაჯახებით იკაფავდენ გზას, ორი კვირის განმავლობაში მიდიოდა ექსპედიცია. უამრავ სხვადასხვა ჯიშის კაკტუსებში ევროპელები ეძებდენ განსაკუთრებით ერთი ჯიშის კაკტუსს, რომელსაც „ნაპალს" უწოდებენ. მოსძებნეს კიდეც კაკტუსის ეს ჯიში და დაიწყეს ნადირობა. ისინი იჭერდენ ამ ჯიშის კაკტუსებში მცხოვრებ ხოჭოს, რომელსაც „სოშენილს" უწოდებენ და რომლის სიგრძე 7 მილიმეტრს არ აღემატება; ის სქელია და თანაც უფრთო. ასიათასობით აგროვებდენ ესენი ამ მწერებს, გულმოდგინებით ათავსებდენ განსაკუთრებით ამისათვის დამზადებულს ყუთებში და უკანვე ბრუნდებოდენ.

მექსიკის ხოჭოები ჩამოჰქონდათ ქ. მარსელში და აქედან რკინის გზით აგზავნიდენ საფრანგეთის აბრეშუმეულობის წარმოების ცენტრში—ქ. ლიონში. აქ, ქ. ლიონში, ხსნიდენ ამ ყუთებს, მკვდარს ხოჭოებს იღებდენ და აწყობდენ განსაკუთრებულს ქილებში და ხარშავდენ... წვენს. ამ მექსიკის ხოჭოებიდან დამზადებული წვენი ცივდებოდა და იღებდენ ელვარე წითელი ფერის კარმინს, სწორედ ისეთს, როგორიც შენ გაქვს.

პიონერი ლოთობის წინააღმდეგ

აი, ამგვარად წარმოიშვა შენი საღებავი შორეულს მექსიკაში. მისი შოვნის პირველი ისტორია იცნობს მექსიკის ტყის საშიშროებას: სიკვდილი ტროპიკული სენით, ჭრილობები იაგუარის ბრჭყალებით და მძიმე საკატორღო შრომა.

რომ მიეღოთ ერთი კილოგრამი კარმინი, ამისათვის საჭირო იყო 140 000 ხოჭოს დაჭერა. აი, რამდენი შრომა იყო საჭირო ამ კარმინის მოსაპოებლად.

შავის ნახშირიდან მიღებული წითელი საღებავის მეორე ისტორია.

ამ მეორე ისტორიაში არ ვხვდებით იაგუარებს, არც სნეულებებს, არც სიკვდილიანობას და არც ტროპიკული ტყის საშინელებას, არ არის აგრეთვე კაკტუსები და პატარა, სქელი ხოჭოები. აქ მხოლოდ ქარხანაა და ჩვენთვის კარგად ცნობილი ქვანახშირი.

წარმოიდგინეთ უზარმაზარი ქარხნის ღუმელი. მასში ჩაშენებულია რამდენიმე ათეული კამერა, რომლის სიგრძე 15 მეტრს უდრის და განი კი ერთ მეტრს და რომელიც თუჯის ამოსაწევი კარით იკეტება. კამერებში ყრიან ქვანახშირს; თითოეულს კამერაში ეტევა 7—10 ქვანახშირი. როცა კამერები აივსება ქვანახშირით, კარებს ხურავენ დიდი სიფრთხილით, რომ სადმე ჰაერის შესასვლელი პატარა ჭუჭრუტანა არ დარჩეს, შემდეგ მიწით ამოგლისავენ ამ ჭუჭრუტანებს და დაიწყებენ ღუმელის გათბობას. ორი დღედაღამის განმავლობაში აქვთ გაჩერებული ნახშირი ამ ქვის ციხეში, რომელიც ისეა გახურებული, რომ სულ გაწითლებულია. ქვანახშირს არ შეუძლია წვა: ის გამოყოფილია ჰაერიდან აგურის კედლით და თუჯის კარებით, უჰაეროდ კი წვა შეუძლებელია. მაგრამ ღუმელის გახურება მოქმედობს ქვანახშირზე და ის იწყებს დამლას.

თავდაპირველად მისგან გამოიყოფა რაღაც შავი, მაგარი, ნახშირის მსგავსი ნივთიერება. ეს არის კოქსი; ის ილექება კამერის ფსკერზე. მაგრამ აქვე ნახშირიდან იწყებს გამოყოფას გაზი. ქიმიკოსები იჭერენ ამ გაზს, მილების საშუალებით გადაჰყავთ ის განსაკუთრებულს აპარატებში, და გაზი კი გამოჰყოფს ორს სითხეს: წყლოვანს, რომელსაც ნიშადურის სპირტის სუნი უდის, და მოშავო, ზეთისებურს, მყრალს სითხეს. აი ამ უკანასკნელი აყროლებული სითხიდან (ქვანახშირის კუპრი ეწოდება ამას), რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მოუხმარებელი იყო, ქიმიკოსებმა შესძლეს კარმინის დამზადება. და მათი კარმინი უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე წინანდელი — მექსიკის კარმინი: ქვანახშირიდან დამზადებული კარმინი უფრო ელვარეა, ლამაზია და გამძლეცაა, უმთავრესი ისაა, რომ ბევრად უფრო იაფია, ვიდრე მექსიკის კარმინი, იაფია, იმიტომ რომ მის მოსაპოებლად საჭირო არ არის შორეულს მექსიკის ნაპირებზე გამგზავრება, საჭირო არ არის საკუთარი თავის საშიშროებაში ჩაგდება ტროპიკულს ტყეში და პაწაწა მწერების მილიონობით დაჭერა. ახლა კარმინის გამომუშავება შეიძლება ყველა ქალაქში — საჭიროა მხოლოდ ქარხანა და ქვანახშირი. აი, ასეთია ის მეორე ისტორია შენი კარმინის მოპოებისა, რომელიც მოგვცა ამ უახლოეს დროში ქიმიამ.

1 გრამი საღებავი ზღვის 10 000 ჭიისაგან.

არა მარტო ჭიაფერს, ყველა დანარჩენ საღებავებს, რომელიც მოგიგროვებია, აგრეთვე ორი ისტორია აქვს: პირველი — ქიმიამდე, მეორე — ქიმიის შემდეგ.

აი, ავიღოთ ლურჯი ინდიგო. ამისათვის უხსოვარს დროში ოსტ-ინდოეთში მიდიოდენ. იმიტომ მიდიოდენ, რომ მხოლოდ იქ იზრდებოდა ისეთი ტროპიკული ხეები, რომლის ფოთლებიდანაც იცოდენ ამ საღებავის მიღება. ახლა ქიმიკოსები ამ საღებავს ამზადებენ ნაფტალინიდან, რომელსაც ქვანახშირიდან. ღებულობენ. ახალი, „ნაფტალინის ინდიგო“, სამჯერ უფრო იაფია და ბევრად უკეთესი და გამძლეა, ვიდრე წინათ დამზადებული ინდიგო.

აი, ავიღოთ, მაგალითად, კვერცხტონი — ყვითელი საღებავი. ამის მოსაპოებლად მიემგზავრებოდენ მცირე აზიაში და იქ აგროვებდენ განსაკუთრებული მუხის რკოს. ახლა მას ამზადებენ ქვანახშირიდან რაც ბევრად უფრო იაფი ჯდება და უკეთესი ხარისხისაა.

აი, თუნდაც ავიღოთ ანტიური პურპური (ჯიგრის ფერი). რომის იმპერიის არსებობის ხანაში ცეზარების წამოსასხამებს და სენატორების ტოგებს გაყოლებული ჰქონდათ ამ ფერით შეღებილი არშიები.

ეს საღებავი მაშინ ოქროზე უფრო ძვირად ფასობდა. ეს იმიტომ, რომ 1 გრამი ასეთი საღებავის მისაღებად საჭირო იყო დაჭერა და გადამუშავება ზღვის 10 000 ჭიისა. ამიტომაც წამოსასხამები და ტოგები მეტად ძვირი იყო. ახლა კი მას ამზადებენ ქვანახშირიდან, ის ახლა უფრო ლამაზია, მეტი გამძლეცაა და, რასაკვირველია, 100-ჯერ უფრო იაფიც ჯდება, ვიდრე მაშინდელი დამზადებული.

ამრიგად ქიმია იძლევა იაფი საღებავების უდიდესი წარმოებების მოწყობის შესაძლებლობას.

ახლა ქიმიკოსები ყოველწლიურად ამზადებენ 130 მილიონ ტონა საღებავს, 900 სხვადასხვა ფერის და ხარისხისას, რომელსაც შეუძლია შეღებოს 30 მილიონი კილომეტრი ქსოვილი. ამის მოსაპოებლად დღეს ქიმიკოსები მექსიკაში და ინდოეთში კი არ მიემგზავრებიან, არც ზღვის ფსკერში ეშვებიან ზღვის ჭიების ამოსაღებად და ერთი ბეწო თევზების ზურგის ძვლის ტყავების საშოვნელად: ყველა ამ 900 სხვადასხვა ხარისხის საღებავს ქიმიკოსები ქვანახშირიდან ამზადებენ. შენ ფიქრობ მხოლოდ საღებავების გადამუშავება გამოიგონეს ქიმიკოსებმა ქვანახშირიდან? სრულიადაც არა. კიდევ ბევრ რამეს აკეთებენ ქიმიკოსები მისგან.

ოინი ქვანახშირის ნატეხით.

ხომ გახსოვს, — როცა ქვანახშირს ათბობდენ დიდი ღუმელის შეთხუპნილს კამერაში, ის თანდათან მკვრივ დაწმენდილ ქვანახშირად (კოკსი) და გაზად იქცეოდა.

აი, პირველი ქიმიური ოინი.

მიღებული კოკსი, რკინის მადანთან სამაღარო ღუმელის საშუალებით შერეული, თუჯს იძლევა, გაზი კი მინების საშუალებით მიმართება ბინებში, სადაც მით ამზადებენ საჭმელს გაზების ქურებზე და ქუჩაზეც მისი საშუალებით ანათებენ გაზების ფანრებს. მაგრამ ქიმიკოსები კიდევ სხვა ოინებს აკეთებენ ნახშირიდან. თუ კიდევ გადავმუშავებთ ამ მიღებულს გაზს, ის გამოჰყოფს ორ სითხეს: ამონიუმის წყალს და ქვანახშირის წებოს. ამონიუმის წყლიდან ქიმიკოსები ამზადებენ ნიშადურის სპირტს, რომელიც მშვენიერ ხელოვნურ სასუქს წარმოადგენს.

(გაგრძელება იქნება)

ᲞᲐᲢᲠᲘᲚᲘ — ᲜᲘ.

ჯემს კუკის ცხოვრება და თავგადასავალი [1])

ამ მოგზაურობის დროს ექსპედიციას უბედურება ეწია. „ენდეერი“ დაეჯახა მარჯნის სპონდიოს. ხომალდი რომ ადგილიდან დაეძრათ, საჭირო იყო მისი სიმძიმის შემცირება. კუკმა ბრძანება გასცა გადაეგდოთ ექვსი ზარბაზანი და ყველაფერი, რის უქონლობის ატანაც კი შეიძლებოდა. მაგრამ ამ ზომამ ვერ უშველა. ხომალდი არ იძროდა. მდგომარეობა უფრო და უფრო საშიშარი ხდებოდა. წყალმა ხომალდში იწყო შესვლა. თუმცა წყალს სამი ტუმბოთი ტუმბავდენ, წყალი თანდათან მატულობდა. ხომალდს ჩაძირვის საშიშროება მოელოდა, თუ კონცხიდან დაიძროდა, ამავე დროს ერთ ადგილზე დგომაც საშიშარი იყო: ქარი ხომალდს იმავე კუნძულზე მიიმტვრევდა. ხმელეთს სულ 5 მილით იყვნენ დაშორებული, მაგრამ ნავები არ ეყოფოდათ, რომ ყველა გადაესხათ, ვინც კი „ენდეერზე“ იყო. თუმცა საშიშროება დიდი იყო, მეზღვაურებს არ დაუკარგავთ სულის სიმშვიდე და წესრიგს იცავდენ. ეს აიხსნება კაპიტნის მიმართ პატივისცემითა და ნდობით.

როდესაც ზღვის მოქცევამ უმაღლეს დონეს მიაღწია, ხომალდი ცოტათი აიწია და მოხერხდა მისი კონცხიდან მოხსნა. მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, წყალი მატულობდა და ნაპირამდე მისწვრება შეუძლებელი ეჩვენებოდათ. მონკჰაუზს მოუვიდა მოხერხებული აზრი: გახეთქილ ადგილზე გარედან, წყლის ქვეშ, დაედვათ იალქანში გახვეული მატყლი და ნაძენძი. ამის შემდეგ წყალმა მართლაც დაიკლო, და ხომალდმა მიაღწია ზღვის პატარა ყურემდე ავსტრალიის აღმოსავლეთ ნაპირზე. იქ კუკი დარწმუნდა, რომ ხომალდის შეკეთება შეიძლებოდა, და ისინი შეუდგენ შეკეთებას.

ამ უნებური დგომის დროს ექსპედიციამ ხელი მიჰყო მახლობელი ადგილების დათვალიერებას, რომ როგორმე ეშოვნათ სანოვაგე. ერთერთ ასეთ ძებნაში ტაიტელმა ტუპიამ დაინახა დიდი და საკვირველი, ჯერ მის მიერ უნახავი ცხოველი. შემდეგ გამოირკვა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი მას კენგურუს უძახიან. საკვირველი ის იყო, რომ მუცელზე ება რაღაც პარკის მსგავსი, რომელშიაც დაჰყავდა შვილები. ეს ცხოველი მხოლოდ ავსტრალიაში ცხოვრობს. ექსპედიციის წევრები იყვნენ პირველი ევროპელნი, რომელთაც ნახეს კენგურუ.

„ენდეერის“ შეკეთების შემდეგ ექსპედიცია ჩრდილოეთისაკენ გაემართა, რომ შესულიყვნენ ინდოეთის ოკეანეში. მგზავრობის ეს ნაწილი ძალიან საზიფათო იყო. ოკეანე ამ ადგილას სავსეა ზღვისქვეშა კუნძულებით, კლდეებით და მარჯნის სპონდიოებით. სვლა შეიძლებოდა მხოლოდ დღისით. „ენდეერი“ კინაღამ დაეჯახა ზღვისქვეშა კლდეების გრეხილს. კიდევ კარგი, რომ სწორედ ამ დროს შემოუბერა მსუბუქმა ქარმა, და „ენდეერმა“ აუქცია მხარი ამ ჯებირს სულ რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით. ეს გასასვლელი ახლაც სახიფათოა.

თუმცა მგზავრობა საშიშარი იყო, კუკმა მაინც გადასწყვიტა გამოეკვლია, ახალი გვინეა ავსტრალიის ნაწილია თუ არა. ამ მიზნით „ენდეერმა“ შემოუარა ავსტრალიის ჩრდილოეთ ნაპირს, აღმოაჩინა რამდენიმე კუნძული და გაემართა ახალი გვინეის სამხრეთ ნაპირისაკენ. კუკი დიდხანს მოგზაურობდა ახალი გვინეის გასწვრივ, მაგრამ ნაპირზე ჩამოსვლა ვერ მოახერხა, რადგან ადგილობრივი მცხოვრებნი ეცემოდენ მეზღვაურებს, კუკი კი ერიდებოდა სისხლის ღვრას და განაგრძობდა ხომალდით მიმოსვლას.

კუკი მიადგა კუნძულ იავის ნავსადგურ ბატავიას. მოგზაურობის მონაწილეთა შორის ძლიერ გავრცელდა ავადმყოფობა, რომელმაც იმატა „კეთილი იმედის“ კონცხისკენ სვლის დროს. ეპიდემიამ 23 კაცი იმსხვერპლა. კუკმა დაჰკარგა ექსპედიციის ისეთი საჭირო წევრები, როგორიც იყვნენ ასტრონომი გრინი, ექიმი მონკჰაუზი და ტაიტელი ტუპია მისი ვაჟით.

1772 წლის 11 ივნისს, ოთხი წლის მოგზაურობის შემდეგ, კუკი დაბრუნდა სამშობლოში. პირველსავე მოგზაურობაში კუკმა იმდენი სიდინჯე და ნებისყოფა გამოიჩინა, ისე სისწორით შეასრულა დავალებანი, რომ მაშინვე ცნობილ იქნა ზღვაში სახელოვან მოგზაურად და მკვლევარად.

თუ წარმოვიდგენთ, რომ ის ნაწილი წყნარი ოკეანისა, რომლის გავლა უხდებოდა კუკს პატარა იალქნიანი ხომალდით, ახლაც უზარმაზარი გემებისათვის დიდად სახიფათოა, მაშინ ჩვენთვის გასაგები გახდება, თუ რა გმირობად უნდა ჩაეთვალოს კუკს მისი პირველი მოგზაურობა.

კუკის პირველმა მოგზაურობამ ვერ შეასრულა ერთი დავალება: სამხრეთი მატერიკი, რომლის არსებობაში სწავლულებს ეჭვი სრულიადაც არ ეპარებოდათ, ჯერ კიდევ აღმოუჩენელი რჩებოდა. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ამ საკითხის საბოლოოდ გამორკვევა. ამ მიზნით გაამზადეს ახალი ექსპედიცია, რომელშიაც ორი ხომალდი შევიდა.

ერთ მათგანს ეთქვა „რეზოლიუშენ“ (გადაწყვეტილება), და მის კაპიტნად დაინიშნა კუკი. მეორე ხომალდის „ანდვეჩერ“-ის (თავგადასავალი) კაპიტნად დანიშნეს ფიურნო. ხომალდებზე მოიპოვებოდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო 3 წლის მოგზაურობისათვის. მოემარაგებიათ პატარა ხომალდის დაშლილი ნაწილებიც კი, რომელთა შეკრება და წყალში ჩაშვება რამდენიმე საათის განმავლობაში შეიძლებოდა.

ეს თავდარიგი მეორე ექსპედიციას ნაკლებ სახიფათოდ ჰხდიდა, რადგან რაიმე უბედურების დროს შეიძლებოდა ახლად აწყობილ ხომალდზე გადარჩენა.

ექსპედიციაში შედიოდა ორი ბუნებისმეტყველი, მამა-შვილი ფორსტერები, ორი ასტრონომი — უელსი და ბეილი და მხატვარი გოოდესი.

საამირბაროს გეგმით კუკი უნდა მისულიყო „კეთილი იმედის“ კონცხამდე და შემდეგ წასულიყო სამხრეთით. ამ გზაზე ფრანგმა მეზღვაურებმა აღმოაჩინეს კონცხი „წინადაცვეთა“. ექსპედიციას უნდა გამოერკვია, ეს კონცხი „სამხრეთ მატერიკის“ ნაწილია თუ არა. თუ იგი „სამხრეთ მატერიკის“ ნაწილი აღმოჩნდებოდა, მაშინ ექსპედიცია უნდა გაცნობოდა მკვიდრთა ყოფას, ზნე-ჩვეულებას, მათ ცხოვრებას და უმთავრესად კი მათთან მეგობრული კავშირი დაეჭირა. ინგლისის მთავრობას იმდენი ჰქონდა ამგვარად მოეპოვებია ახალი ბაზარი აღებ-მიცემობისათვის.

თუ სანოვაგე ეყოფოდათ და ექსპედიციის მონაწილენი ჯანსაღად იქნებოდენ, მათ უნდა განე-

1) დასაწყისი იხ. ჟურნ. „პიონერი“, №18-19, სადაც ორ ადგილას დაბეჭდილია „ავსტრალია“-ს მაგივრად „ავსტრია“.

გძოთ გზა, რაც შეიძლება უფრო შორს, სამხრეთით.

1772 წლის შუა ივლისში, ე. ი. პირველი მოგზაურობის დამთავრების ერთი თვის შემდეგ, კუკი ნავსადგურ პლიმუტიდან გავიდა ზღვაში. კონცხ „კეთილ იმედზე“ მათ შეუერთდა ბოტანიკოსი სპარმანი, გამოჩენილი ბუნებისმეტყველის ლინნეის მოწაფე.

აქამდე მოგზაურობა მშვიდობიანად მიმდინარეობდა და ხომალდები კონცხ „წინადაცვეთისაკენ“ გაემართენ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. გზაზე, უკვე ნოემბრის დასასრულს, ქარიშხალი ამოვარდა. იალქნიანმა ხომალდებმა ვერ მოახერხეს მასთან ბრძოლა. ექსპედიცია დანიშნული გზიდან ისე შორს გაისროლა ქარიშხალმა, რომ „წინადაცვეთის“ ძებნა შეუძლებელი გახდა.

გადაწყვიტეს პირდაპირ სამხრეთით განეგრძოთ სვლა. რამდენიმე ხნის შემდეგ „რეზოლიუშენ“ და „ანდვეჩერ“ მოხვდენ მცურავი ყინულის მთებში. ამინდი მეტად ბურუსიანი და და ნესტიანი დაიჭირა. თანდათან ბნელდებოდა და ყინულის უზარმაზარ მთებთან შეტაკების საფრთხე მატულობდა. ნისლის ჩამოწოლის გამო მოხდა ერთი უბედურება: ხომალდიდან შეამჩნიეს, რომ ისინი მოხვდენ ზღვის ძლიერ მდინარებაში; ფორსტერი და უელსი გადასხდენ ნავში მდინარების სიჩქარის გამოსაანგარიშებლად; მუშაობის დროს მათ ვერ შეამჩნიეს, რომ ნისლმა დაჰფარა ხომალდები.

როცა შეამჩნიეს, თუ რა მოხდა, ერთხანს დაიწყეს ნავის მართვა იმ მხრით, საითაც ეგულებოდათ თვალთაგან დაკარგული ხომალდები; მაგრამ მალე თავი გაანებეს, რადგან ეშინოდათ უფრო არ დაშორებოდენ იმ ადგილს, სადაც დასტოვეს ექსპედიცია. საშინელი მდგომარეობა იყო: უსანოვაგოდ, პატარა ნავში მათ სიმშილით სიკვდილი ან ზღვაში დაღუპვა მოელოდა. უეცრად ბურუსში გაისმა ზარის რეკა, და მათ წინ გამოჩნდა ხომალდი, რომელსაც გაუფრთხილებლად დაშორდენ.

მცურავი ყინულების არედან თავის დაღწევის დროს კუკი მიჰყვებოდა იმავე ყინულების ნაპირს და იმედი ჰქონდა, რომ ამ გზით მიაღწევდა მატერიკს, რადგან, მაშინდელი სწავლულების აზრით, მცურავი ყინულები ჩნდებიან ზღვის უბეში ან მდინარის შესართავთან და იქიდან მიაქვს ზღვას. კარგა მანძილის გავლის შემდეგ კუკმა ველარ იპოვა სამხრეთისაკენ ყინულებში გასასვლელი გზა. მეტად აცივდა; ქარი ქროდა; ექსპედიციის წევრებს შორის გახშირდა ავადმყოფობა; მცურავ ყინულებში მოგზაურობა ძალზე საშიში გახდა. კუკი იძულებული შეიქნა უკან გაბრუნებულიყო.

1773 წლის თებერვლის დასაწყისში „რეზოლიუშენ“-მა თვალიდან დაკარგა „ანდვეჩერი“. კუკი უშედეგოდ ეძებდა და უცდიდა რამდენიმე დღეს—ხომალდი უკვალოდ დაიკარგა და „რეზოლიუშენი“ იძულებული შეიქნა მარტო განეგრძო გზა. კუკმა ერთხელ კიდევ სცადა სამხრეთ პოლუსის წრე გადაელახა, მაგრამ წვიმებმა, ნისლმა და ყინულის მთებმა აიძულეს საბოლოოდ უკან დაბრუნებულიყო.

ამ ცდის შემდეგ კუკი დარწმუნდა, რომ არავითარი „სამხრეთის მატერიკი“ არ არსებობს, და ახალი ზელანდიისაკენ გაემართა.

იქ უნდა დაეცადა „ანდვეჩერს“—ეს იყო წინათვე დათქმული ადგილი, სადაც უნდა შეყრილიყვნენ, თუ ერთმანეთს დასცილდებოდენ.

როცა „რეზოლუშენი“ მიცურავდა ახალი ზელანდიისაკენ, ექსპედიცია თვალყურს ადევნებდა სამხრეთის პოლარულ ციალს; ამ სანახაობას ევროპელები პირველად ხედავდენ, და მან მათზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. კუკი მას ასე აღწერს: „ცის განათებული არედან დროგამოშვებით ეფინება სისათლის სხივები, რომელნიც იკლაკნებიან. სინათლის ძლიერება ხან მატულობს და ხან კლებულობს, სინათლის სხივები ღამის ცაზე იბნევა სხვადასხვა მხრით“.

ახალ ზელანდიაში კუკს დახვდა „ანდვეჩერი“, რომელიც უკვე 6 კვირა უცდიდა დედოფალ შარლოტას სრუტეში. კუკის ეს გადასვლა „კეთილი იმედის“ კონცხიდან ახალ ზელანდიამდე 107 დღე გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მეზღვაურებს ხმელეთი შორიდანაც კი არ უნახავთ. კაპიტანმა კუკმა გადასწყვიტა დაესვენებია ქანცგამოლეული თანამგზავრები და ამიტომ დარჩა ახალი ზელანდიის ნაპირებთან რამდენიმე კვირა. ამხანად კუკმა მოახერხა მეგობრული განწყობილება დაემყარებია ადგილობრივ მცხოვრებლებთან. მკვიდრთ ახალი სანოვაგეც კი მოჰქონდათ მოგზაურებისთვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ კუკმა და კაპიტანმა ფიურნომ გადასწყვიტეს სამხრეთ დასავლეთით გამგზავრებულიყვნენ, რომ გამოეკვლიათ წყნარი ოკეანის ჯერ კიდევ უცნობი მხარე.

სამი თვის მოგზაურობამ საყურადღებო ვერაფერი დაანახვა კუკს, და იგი დაბრუნდა კუნძულ ტაიტზე. როდესაც აქედან დასავლეთით გაემართა, კუკმა აღმოაჩინა „ამხანაგობის“ კუნძულების ახლო მდებარე კუნძული ეოა. ამ კუნძულის მოსახლეობამ ინგლისელები ძალიან მეგობრულად მიიღო. წინამძღოლი ტაი-ონე თვითონ მოვიდა ხომალდზე, მეგობრობის ნიშნად კუკის ცხვირს წიწაკას ძირით შეეხო და დაჯდა მის გვერდით. სამაგიეროდ კუკმა ზოგი რამ აჩუქა, რამაც ველური ძალიან გაახარა. ამ მეგობრული შეხვედრის შემდეგ ინგლისელები მიიპატიჟეს კუნძულზე და პატივსაცემად დიდი ლხინი გამართეს.

კუნძულ ეოადან კუკი ახალი სანოვაგის საშოვრად გაემართა კუნძულ ტონგა-ტაბუსაკენ. სანოვაგე ძალიან ადვილად შეიძინეს—ადგილობრივი მცხოვრებნი სიამოვნებით სცვლიდენ სანოვაგეს მძივებზე, ლურსმნებზე და სხვა თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ მათთვის უნახავ საგნებზე. ამ კუნძულების ჯგუფს კუკმა „მეგობრობის“ კუნძულები დაარქვა.

კუკი მაინც არ სტოვებდა აზრს მოენახა „სამხრეთის მატერიკი“. ამ მიზნით ერთხელ კიდევ ჩაუარა ახალ ზელანდიას და სამხრეთით გაემართა. „ანდვეჩერი“ თან მიჰყვებოდა. ერთხელ ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი და ხომალდები კვლავ განშორდა ერთმანეთს. კუკმა მარტო განაგრძო ხმელეთის ძებნა. ექსპედიცია მოჰყვა მცურავი ყინულოვანი მთების არეში. კუკმა, როგორც იყო, მოახერხა გაეარა სამხრეთ სიგანის 76⁰-მდე, მაგრამ ბოლოს გადასწყვიტა უკან დაბრუნებულიყო. იგი იმ აზრს დაადგა, რომ, სამხრეთ მატერიკი თუნდაც არსებობდეს, ამ მარადიულ ყინულებს შუა გასვლა და ხმელეთამდე მიღწევა შეუძლებელიაო.

(გაგრძელება იქნება)

მთავლიტი № 1907. სახელგამის სტამბა, ხომხის ბაზარი, № 22. შეკვ. № 676. ტირ. 1500.